საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვეული სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 5 ივლისი. 2019 წ. №134 (8800) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გვარამიას „პანდორას ყუთი“ კანონის ძალით განადგურდება!

სტრასბურგი ძალაში დატოვებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, „რუსთავი-2“ არის ქიბარ ხალვაშის!

დარჩება თუ არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში, რომლის თანახმად ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის კანონიერი მესაკუთრე, ბიზნესმენი **ქიბარ ხალვაშია,** ეს 18 ივლისს გახდება ცნობილი. გადაწყვეტილება სტრასბურგის სასამართლომ უნდა გამოაცხადოს.

ქიბარ ხალვაშის ინტერესების დამცველი **პაატა სალია** For.Ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ქიბარ ხალვაშს ტელეკომპანია „რუსთავი-2“ გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო ახლა სტრასბურგის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ჰქონდა თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს შეზღუდული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

„სტრასბურგის სასამართლომ უნდა თქვას, შეელახა თუ არა მოწინააღმდეგე მხარეს უფლებები. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ არ ყოფილა რაიმე ისეთი დარღვევა, რამაც შეიძლება სხვა გადაწყვეტილება მიაღებინოს სტრასბურგის სასამართლოს, ანუ შეიცვალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. ჩვენ პირველი დღიდან ვაცხადებდით, რომ არ ყოფილა საქართველოში სამართლიანი სასამართლოს პრინციპები დარღვეული, რამაც შეიძლება სხვა გადაწყვეტილება გამოიწვიოს. ამიტომ, ველოდებით, რომ შედეგი ჩვენთვის დადებითი იქნება. გვაქვს მოლოდინი, რომ სტრასბურგის სასამართლო ძალაში დატოვებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის კანონიერი მესაკუთრე არის ქიბარ ხალვაში“, — აცხადებს პაატა სალია.

კითხვაზე, თუკი სტრასბურგის სასამართლო ძალაში დატოვებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, მიიღებს თუ არა ამ გადაწყვეტილებას არხის დღევანდელი მფლობელები, სალია პასუხობს: **„კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რაც ასევე დადასტურდება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ვინმე არ დაემორჩილება, ეს მისი არჩევანია. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა საქართველოს კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულია. არა მგონია, ვინმეს ჰქონდეს გადაწყვეტილი, არ შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება“,** — აღნიშნა პაატა სალიამ.

რას იტყვის სტრასბურგის სასამართლო? — საქართველო განაჩენის მოლოდინშია. ექსპერტი **გია აბაშიძეც** ვარაუდობს, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით „რუსთავი-2“ დაუბრუნდება მის კანონიერ მესაკუთრეს ქიბარ ხალვაშს.

„ჩემი ვარაუდით, 18 ივლისს, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით „რუსთავი-2“ დაუბრუნდება ქიბარ ხალვაშს. როგორც რიგი იურისტები მეუბნებიან, სხვანაირად ამ ქეისს სამართლებრივი „კვანძის გახსნა“ არ გააჩნია. შესაბამისად, ნიკა გვარამია, რომელიც კვალიფიციური იურისტია და ჰყავს გარშემო რამდენიმე ასეთი კოლეგაც, ზუსტად იცის, რომ პროცესს აგებს. არ გამოვრიცხავ, რომ 18 ივლისის ვერდიქტზე ინფორმაცია წინასწარ უკვე აქვს შიგნიდან. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ „ნაცმოძრაობა“ მაქსიმალურად შეეცდება, პროცესი შენარჩუნდეს ქუჩაში და ყველანაირად გართულდეს სტრასბურგის უზენაესი გადაწყვეტილების აღსრულება „დაიცავი „რუსთავი-2“-ის სლოგანით“, — აცხადებს გია აბაშიძე.

ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი** დარწმუნებულია, რომ 18 ივლისს სტრასბურგის სასამართლო ნიკა გვარამიასთვის არცთუ ისე სახარბიელო გადაწყვეტილებას მიიღებს.

„აქედან გამომდინარე, მათი მიზანია აქციები, რომელსაც ნაცები და მათთან „დაძმობილებული“ ადამიანები მართავენ, მანამდე შეინარჩუნონ და მერე პროტესტი სხვა ფორმებში, „რუსთავი-2“-ის დასაცავად გადაიტანონ ლოზუნგით „თავისუფალი სიტყვა განსაცდელშია“ და ა.შ. ცხადია, იქნება ყველანაირი მცდელობა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშესაშლელად და პროცესების პოლიტიკურ კონტექსტში გადასატანად. სავარაუდოდ, ესეც ნაცების ბინძური დიდი გეგმის ნაწილია“, — აცხადებს ლევან ნიკოლეიშვილი.

თამთა ქარჩავა

20-21 ივნისის მოვლენებზე გამოძიება ამბოხების გზით ხელისუფლების დამხობისა და ხელში ჩაგდების მუხლებით გაგრძელდება

2

მოღალატე ნაცებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ!

გავაცამტვეროთ სიყალბე!

უაქციზო აქცია და ხალხის რეალური ძალა

3





არის იდეა!

6

სტალინის მავზოლეუმი... თბილისის სემინარიაში

20-21 ივნისის მოვლენებზე გამოძიება ამბოხების გზით ხელისუფლების დამხობისა და ხელში ჩაგდების მუხლებით გაგრძელდება

მოღალატე ნაცებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ!

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში ინტენსიურად გრძელდება გამოძიება 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე.

ამ ეტაპისთვის გამოძიების პროცესში ჩატარებული დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების, მოპოვებული მტკიცებულებების და ათეულობით მოწმის ჩვენებების ანალიზის საფუძველზე საგამოძიებო ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ 2019 წლის 20-დან 21 ივნისის ღამეს, ცალკეული პირების მიერ იგეგმებოდა ამბოხების გზით სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა და ხელში ჩაგდება. დადგენილია, რომ სწორედ ამ განზრახვის განხორციელების პირველი ფაზა მიზნად ისახავდა საქართველოს პარლამენტის იერიშით აღებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რაც განეიტრალებული იქნა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების უშუალო ძალისხმევით. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე დაზუსტდა სამართლებრივი კვალიფიკაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროში **გამოძიება გაგრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე და 315-ე მუხლების მე-3 ნაწილით, რაც გულისხმობს ამბოხებას სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ხელში ჩაგდების მიზნით, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. უახლოეს პერიოდში გაიზრდება ბრალდებულ პირთა რიცხვი, რის თაობაზეც საზოგადოება იძნება პერიოდულად ინფორმირებული.**

საქართველოს პროკურატურაში ინტენსიურად გრძელდება გამოძიება ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ნიკანორ მელიას მიმართ. მას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით. საქმეზე ჩატარდა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები, გამოიკითხნენ მოწმეები და დაზარალებულები. ამ დროისთვის გამოძიებას ჩვენება მისცა 60-მდე პირმა.

ასევე ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება გამოძიება 20-21 ივნისს, რუთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე.

საქმეზე შექმნილია სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი. მოცემული ეტაპისთვის გამოძიების ფარგლებში გამოკითხულია 170-მდე პირი, მათ შორის არიან როგორც დაშავებული მოქალაქეები, ისე ადგილზე მყოფი ჟურნალისტები და მედიის სხვა წარმომადგენლები. ქ. თბილისში მდებარე 15 საავადმყოფოდან, სადაც დაშავებული მოქალაქეები, ჟურნალისტები და სამართალდამცავები იყვნენ მოთავსებული, სასამართლოს განჩინების საფუძველზე სრულად იქნა ამოღებული სამედიცინო ისტორიები, აგრეთვე პოლიციის მიერ გამოყენებული რეზინის ტყვიები და სხვა ნივთები.

უკვე დანიშნულია და მიმდინარეობს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. სხვადასხვა ტელეკომპანიებიდან და მასმედიის სხვა საშუალებებიდან გამოთხოვილ იქნა პარლამენტის სასახლის წინ მიმდინარე მოვლენების ამსახველი ვიდეო-აუდიო და ფოტომასალა, რომელთა საერთო რაოდენობა რამდენიმე ასეულ ფაილს აჭარბებს. აღნიშნული მასალის შესწავლა და ანალიზი ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. გარდა ამისა, საგამოძიებო უწყება დეტალურად აღრიცხავს ყველა იმ ლოკაციას, სადაც მოქმედებდნენ საპოლიციო დანაყოფები, მოპოვებულია კერძო და საჯარო დაწესებულებებში განთავსებული გარე სათვალთვალო კამერების მიერ აღბეჭდილი ვიდეომასალა.

გამოძიების ფარგლებში პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა 20-21 ივნისს განხორციელებული საპოლიციო ოპერაციის შესახებ სრული ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნით. საგამოძიებო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს გენერალური პროკურატურა უკვე მჭიდროდ თანამშრომლობს სახალხო დამცველთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. ამ მიზნით, მათ უკვე ეთხოვათ, საგამოძიებო უწყებას წარუდგინონ მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია შესაძლო სამართალდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. გამოძიება დეტალურად სწავლობს ცალკეულ ეპიზოდებს, სადაც იკვეთება სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ნიშნები.

საქმეზე ჩატარდება ყველა აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, რათა მაქსიმალურად მოკლე დროში გახდეს შესაძლებელი შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება...

გია აბაშიძე: შს მინისტრი უნდა გადამდგარიყო მაშინ, თუ დესტრუქციული, რევანშისტული ძალა შეიჭრებოდა პარლამენტში

„ევროპაში ან ამერიკაში, როდესაც ხდება ძალადობა სახელმწიფოზე, მათ წარმომადგენლებზე, პოლიციელებზე, ხდება ადეკვატური პასუხი და ეს პასუხი არის, ბუნებრივია ძალისმიერი. სხვაგვარად ვერ მოხდება თავდასხმის მოგერიება და აღკვეთა, ეს არის პოლიციელის, პოლიციელთა უშუალო მოვალეობა“, — განაცხადა ტელეკომპანია იმედის თოქშოუში „პირისპირ“ ანალიტიკოსმა **გია აბაშიძემ.**

მისი თქმით, საზოგადოება, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოება თანხმდება მასზედ, რომ ძალადობის წამქეზებლებიც და ასევე სავარაუდო ძალის გადამეტების ფაქტებიც უნდა გამოიძიონ.

„რამდენიმე წლის წინ, ამერიკაში ქალმა თეთრ სახლთან გაიარა, თეთრი სახლის მიდამოებში უსაფრთხოების ჯგუბირი გადალახა და არ დაემორჩილა დაცვის სამსახურის მოთხოვნებს. გაიქცა, კონგრესამდე სდიეს და სამწუხაროდ, ეს ქალი პირდაპირ დამიზნებით რამდენიმე ოფიცერმა მანქანაში ჩაცხრილა კონგრესთან, საბედნიეროდ, ბავშვი იჯდა მანქანაში და გადარჩა. პოლიციელი იმისთვის არის დაქირავებული, რომ მან აიტანოს ტკივილი, თავდასხმა, მაგრამ გარკვეულწილად ყველაფრის მოთმენა არ შეიძლება და უნდა აღიკვეთოს გავეშებული. ჩვენ ვხედავთ გავეშებულ შეტევებს ათენში იქნება თუ სხვა ქალაქში, გავეშებულ შეტევებს ყოველთვის პასუხობენ ძალით და ეს ძალა მტკივნეულია, ბუნებრივია. რასაკვირველია, საზოგადოება თანხმდება როგორც საქართველოში, ასევე ჩვენს პარტნიორ ქვეყნებში და საელჩოების განცხადებებიც ვნახეთ, რომ ძალადობის წამქეზებლებიც უნდა გამოიძიონ და უნდა გამოიძიონ ასევე ისინი, ვინც, სავარაუდოდ, გადაამეტა თავის უფლებამოსილებას მოვალეობის შესრულებისას“, — განაცხადა გია აბაშიძემ.

ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი მაშინ უნდა გადამდგარიყო, თუ რევანშისტული ძალა შეიჭრებოდა პარლამენტში და ამის აღკვეთა ვერ მოხდებოდა.

„საზოგადოება თანხმდება, რომ თუ დესტრუქციული, რევანშისტული ძალა შეიჭრებოდა პარლამენტში, შეიჭრებოდა ჩვენს კონსტიტუციურ ორგანოში, მაშინ უნდა გადამდგარიყო შინაგან საქმეთა მინისტრი, გვარს არა აქვს მნიშვნელობა. ახლა უნდა გამოვიძიოთ ის, რაც მოხდა, სავარაუდო გადამეტება მოხდა ბუნებრივად, თუ ზოგან შეიძლება ეს მიზანმიმართული იყო. პროცესი გამჭვირვალეა, ჩართულია სახალხო დამცველის ოფისი და უნდა გაეცეს ყველაფერს პასუხი. ჩვენ ყველა ვიმეორებთ იმას, რაც თქვა მინისტრმა გახარიამ, გადავდგები, როდესაც ქვეყანას ავაცილებ დესტრუქციულ და ქვეყნის აყირავების მცდელობებს, ამასთანავე ბოლომდე გამოვიძიებ, რა მოხდა, როგორ მოხდა, ვინ წააქეზა შტურმისთვის და ვინ გამოიყენა საბოლოოდ გადამეტებული ძალა“, — განაცხადა გია აბაშიძემ.

მთავარია არა ვალის რაოდენობა, არამედ მისი ეფექტურად გამოყენება!

ვალი, სესხი — მედიკამენტური საშუალებასავითაა — გარკვეული, ოპტიმალური დოზა მის მიმღებს შველის, ფეხზე დააყენებს, პრობლემებს დააძლევინებს, ხოლო თუ დოზა დანიშნულზე მეტია, არასათანადოა ან არადანიშნულებისამებრაა გამოყენებული, მან სხეულს — ადამიანის იძნება ის, ორგანიზაციის თუ მთელი სახელმწიფოსი, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს, თვით სასიკვდილო შედეგის დადგომაც კი გამოიწვიოს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა თავად სესხის (ვალის) აღების ფაქტს, რამდენადაც მის ზომას და ეფექტურ, მიზნობრივ გამოყენებას.

როგორც წესი, სახელმწიფო ვალის სახით ქვეყანაში შემოსული ფულადი სახსრები ქმნის დამატებით ფინანსურ რესურსს, რომლითაც ძირითადად იფარება ბიუჯეტის დეფიციტი, ხორციელდება მუნიციპალური და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ენერგეტიკის სექტორის განვითარება და ა.შ. კერძო სექტორის მიერ მოზიდული სესხები ემსახურება შესაბამისი ბიზნეს-აქტივობის გაფართოებას. მთლიანობაში სესხის ორივე ფორმა — სახელმწიფო და კერძო — მათი ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში, პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის, მისი ცალკეული დარგებისა თუ რეგიონების განვითარებაზე, მაკროეკონომიკურ ზრდასა და, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

საქართველოს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, სახელმწიფოს ვალი, პრაქტიკულად, არ ჰქონია. სსრკ-ის სამართალმემკვიდრემ რუსეთმა იკისრა საბჭოთა კავშირის ყველა ვალის გასტუმრება (1991 წლის ბოლოსთვის მაშინდელი ფასებით, დაახლოებით 132 მლრდ. აშშ დოლარი), ოღონდ იმ პირობით, რომ სსრკ-დან გამოსული დანარჩენი რესპუბლიკები უარს იტყოდნენ საკუთარი წილზე როგორც სსრკ-ის მიმართ სხვა ქვეყნების ვალდებულებებში, ისე იმ აქტივებში, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ფლობდა საზღვარგარეთ. წილის განსაზღვრის საფუძვლად ჩაითვალა სსრკ-ში შესაბამისი რესპუბლიკის მოსახლეობის წილი (საქართველოსათვის — დაახლოებით 1.9).

იხ. 4 გვ.

ᲒᲐᲕᲐᲪᲐᲛᲭᲕᲔᲠᲚᲝᲗ ᲡᲘᲧᲕᲐᲚᲑᲔ!



ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ **პოეტური თუ აღმაფოთებელი შესავლის გარეშე, წერილს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერის ირმა ინაშვილის მიმართვით დავიწყებ:**

კვირას, 7 ივლისს, საღამოს 5 საათზე ვიკრიბებით თბილისის სპორტის სასახლეში (სასტუმრო „აჭარასთან“);

ზუსტად ახლა, ამ ვითარებაში სათქმელი ბევრი დაგროვდა! და ეს სათქმელი ხმამაღლა უნდა ითქვას, ჩვენ ამიტომ ვიკრიბებით!

ქვეყანა პოლიტიკური სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ცხოვრობს. ამასობაში, რუსეთთან ომის რეალური საფრთხის წინაშე დაგვაყენეს. ვისაც ტვინი აქვს, ამას უნდა ხვდებოდეს!

ვისაც საღი გონება აქვს, მას ესმის, რომ საქართველო დიდი ხიფათის წინაშე დგას! და ჩვენ ერთად უნდა ავწიოთ ტვირთი, რომელსაც ქართული მოვალეობა ჰქვია!

ამ გზაზე ბევრი ტალახი და განსაცდელია, მაგრამ ვინმე ფიქრობს, რომ სოხუმსა და ცხინვალს იმ ისტერიკით დავიბრუნებთ, რასაც ბოლო პერიოდში მოთმინებით ვისმენთ? და ისტერიკის შედეგი რა არის? აფხაზებმა ენგური დაკეტეს! გალის რაიონიდან აბიტურიენტები და პაციენტები ვერ ახერხებენ ზუგდიდში გადმოსვლას.

საკაშვილის დაზვერვის ანალიტიკური სამსახურის ყოფილ თანამშრომელს სერგი კაპანაძეს ეს, ეტყობა, რუსულ პროპაგანდაზე გამარჯვებად მიაჩნია. ჩვენთვის ეს ჩვენი, აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების ტკივილია.

ვინმეს სჯერა, რომ რაც უფრო ხმამაღლა და უწმაწურად იმღერებს, მით უფრო შეაშინებს ოკუპანტს? ან მავთულხლართთან შარვალს ენერგიულად ჩაიხდის და მოწინააღმდეგე გაიქცევა?

ჩიხზე, რომელშიც ქვეყანა გავრილოვის პროვოკაციის შემდეგ შევიდა, პასუხისმგებელი „ქართული ოცნებაა“. თავად პროვოკაციაზეც და შემდგომ პროცესებზეც! მან არ დასაჯა დამნაშავეები და ახლა ეს პოლიტკრიმინალები ყველას რუსეთის აგენტად აცხადებენ, პირველ რიგში, ივანიშვილით იწყებენ, მერე სკოლის მოსწავლეებით, ექიმებითა და მშენებლებით აგრძელებენ (ჩემი მეზობელი მესაათე ჟორაც კი რუსეთის სამხედრო დაზვერვის ფარული აგენტია. საათებში რუსულ „ჟუჩოკებს“ ამონტაჟებს).

შექმნეს საინფორმაციო ინდუსტრია, რომელიც განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს სხვადასხვა ფორმით ანადგურებს. ამას უწოდებენ ბრძოლას რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ და სინამდვილეში, ქართულ ინტერესს და ქართულ საქმეს ებრძვიან. საბოლოოდ გვაშორებენ სოხუმსა და ცხინვალს. ახალი ტერიტორიების დაკარგვაც არ აშინებთ. ზოგიერთი ამას შეგნებულადაც აკეთებს, რომ საბოლოოდ მოგვწყდეს აფხაზეთი და ცხინვალი.

იარლიყომანიამ საქართველოში დიდი ხანია მარაზმატული სახე შეიძინა. ამ მარაზმს უნდა გადავაბიჯოთ და გავიაროთ. ცნობილი ფაქტია: სინამდვილეში აგენტობას სხვას ის აბრალებს, ვინც თვითონაა რეალური აგენტი და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის ხელფასიანი თანამშრომელი. ესეც ბებერი და ძველი თემაა.

„ქართულმა ოცნებამ“ შვიდი წელი დახარჯა ბოკერიასთან პოლიტიკურ ფლირტში და ახლაც ამ როლშია, ამიტომ 7 ივლისის შეკრებაზე ჩვენ არა მარტო საკაშვილ-ბოკერიების დასჯას მოვითხოვთ, არამედ „ქართული ოცნების“ 7-წლიან მმართველობასაც შევაფასებთ, როგორ და რატომ მივიდა ხელისუფლება რეზინის ტყვიებამდე? როგორ და რატომ დავდექით ომის საფრთხის წინაშე? როგორ და რატომ ვცხოვრობთ მუდმივი კრიზისების ქვეშ? როგორ და რატომ ვერ მოვიხვეჭეთ მშვიდობა და სტაბილურობა.

7 ივლისს, კვირას, საღამოს 5 საათზე სპორტის სასახლეში გელით ყველა იმ ადამიანს, ვისაც ესმის, რა საფრთხის წინაშე ვდგავართ! შეხვედრამდე!!!

თბილისელებს მივმართავ: ნუ დარჩებით სახლში! ახლა ის დროა, როცა პროცესებს ფანჯრიდან ვერ ვუყურებთ, ერთად დგომაა საჭირო.

* * *

პარლამენტთან მიმდინარე ე.წ. „უაქციზო აქციის“ პროცესში, რომლის მოსალოდნელი შედეგების შესახებ ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა და ის რაც მივიღეთ, ყველამ კარგად ვნახეთ, სიციალურ ქსელში გაჩნდა რამდენიმე ჯგუფი, რომლის წევრები საზოგადოებას, ჯანსაღ, ნორმალურად მოაზროვნე საზოგადოებას შეკრებისკენ მოუწოდებდნენ. პათოსი კი ის იყო, რომ ნაძირალა ნაცებისთვის და მათგან ნაყიდი, თუ გაბრიყვებული ხალხისთვის გვეჩვენებინა ის, თუ სად დგას და რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის ნამდვილი უმრავლესობა.

შსს მინისტრმა ამ მეტად სენსიტიურ თემასთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადება გააკეთა და საზოგადოებას მოუწოდა, ე.წ. კონტრაქციებისგან თავი შეეკავებინა.

მისი ეს განცხადება აბსოლუტურად გასაგები და მისაღები იყო იმ განწყობების ფონზე, რაც ე.წ. „ჩაკუკულ გაბრაზებულებში“ სუფევდა. სრულიად მოსალოდნელი იყო სხვადასხვა სახის პროვოკაციების მოწყობა, რაც ისედაც დაძაბულ ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებდა.

აქცია იქნებოდა სპონტანური და, შეიძლება ითქვას, არამართვადი, რაც მოსალოდნელ საშიშროებას კიდევ უფრო ზრდიდა.

ფეისბუქ-ჯგუფების ორგანიზატორებისგან ირმა ინაშვილის მისამართით გაკეთდა წინადადებები, გარკვეული ორგანიზება გაეწია მოსალოდნელი აქციებისთვის, რაზეც თავდაპირველად ინაშვილმა უარით უპასუხა, რადგანაც პარტიული სტრუქტურის პირდაპირი ჩართვა საზოგადოებრივ პროტესტში, გარკვეულ შეკითხვებს გააჩენდა და ნაძირლებს თავიანთი უაზრო განცხადებებისთვის დამატებითი საბაბი მიეცემოდათ, მაგრამ სიტუაციის გაწელვამ, რუსთაველზე მისული ახალგაზრდების განწყობებმა და ხალხში მომატებულმა ანტიპატიურმა ფონმა, აუცილებელი გახადა პოლიტიკური ძალის მხრიდან გარკვეული ჩარევა და იმ მოთხოვნების გახმიანება, რასაც საზოგადოება ამდენი წელია, ფაქტობრივად, უშედეგოდ ითხოვს.

სიმართლე გითხრათ, არ მესმის საიდან და რატომ გაჩნდა ფრაზა – კონტრაქცია?

ჩემი აზრით, წინდებული „კონტრ“ აღნიშნავს დამარცხებულის მხრიდან გამარჯვებულზე რევანშის სურვილს.

არც ერთი ის აქცია, რომელსაც ამ თიკუნს აკერებენ, არ ყოფილა „დამარცხებულის“ მხრიდან რევანშის სურვილი. პირიქით, ყველა გამოსვლის დროს, რომლებსაც რატომღაც „კონტრაქციას“ უწოდებდნენ ხდებოდა პოლიციის მიერ უმრავლესობის მხრიდან უმცირესობის, ძლიერის მხრიდან სუსტის დაცვა, რადგანაც გამარჯვებულს დაცვა არ სჭირდება.

მარტივი მისახვედრია, რომ ეს თიკუნი სპეციალურად არის მოფიქრებული, რათა დაამცირონ უმრავლესობა და, ასე ვთქვათ, იმიჯი შეუქმნან **ელჭიპიტი და კალიკების კაიფში მოხვანხვალე ტიპებს, ანუ ნაცებს**.

რაც შეეხება თხოვნას, გახარიას დასაცავი კონტრაქციის არ გამართვის შესახებ, ესეც სრულიად ზედმეტად და გარკვეულწილად იმ რეალური მოთხოვნების მიჩქმალვად მიმაჩნია, რომლებიც ხალხში უკვე დიდი ხანია, არსებობს და დღევანდელ მოცემულობაში, ძალიან აქტუალური გახდა.

1. ნაცრეჟიმის, რომელიც დღესაც ბოგინობს, უკანონოდ გამოცხადება.

2. კანონის უზენაესობის აღსრულება.

3. კოჰაბიტაციის დასრულება.

4. დესტრუქციისა და პროვოკაციის დამგეგმავი მანქანების ალაგმვა.

5. ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა.

როგორი თხოვნაც და საზოგადოების მხრიდან როგორი გაგებით მოკიდებაც არ უნდა იყოს დღეს, ხვალ ეს მაინც მოხდება.

მოხდება, რადგანაც ოლივერ კრომველი 1599 წელს რომ არ დაბადებულიყო, ინგლისის რევოლუცია ოდნავ გვიან, მაგრამ მაინც მოხდებოდა.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და პირდაპირ ვიტყვი, რომ პარლამენტთან აქციებმა, ფაქტობრივად, უაზრო ხასიათი მიიღო. იმდენად უაზრო, რომ მშვილდაძის „რიხიანი“ მოწოდებები ისე იფანტება ჰაერში, როგორც 90-იანი წლების რადიოხულიგანის მიერ გაშვებული სიგნალები. საინტერესოა, ვის სჭირდება წყლის უაზრო ნაყვა, რომელიც გინდა, არ გინდა, რაღაც თანხებთან არის დაკავშირებული.

* * *

მიჰას პარლამენტის წინ ხალხის ის მცირე რაოდენობა, რომლებიც მშვიდობიანად დგანან და ზოგი ქორწინდება, ზოგი ცეკვავს და ზოგიც უბრალოდ დროს ატარებს, აღარ აინტერესებს. არეულობა, დაპირისპირება, პროვოკაციები დამთავრდა. ამიტომ მიჰა ამაში ფულის გადამხდელი არ არის. ბოკერია ფულს 12-კაციან აქციაში კი არა, ზაფხულში საბანს არ გადაიხდის. რჩება ერთადერთი ვარიანტი: 18 ივლისს სტრასბურგში ჩანიშნულია სასამართლო სხდომა „რუსთავი-2“ საქართველოს წინააღმდეგ (რა სიმბოლურია არა?), რომელზეც ნიკა გვარამიას ბოლოდროინდელი „დვიჟენიებიდან“ გამომდინარე, „რუსთავი-2“-ს მის კანონიერ მფლობელს ქიბარ ხალვაშს დაუბრუნებენ.

ასე რომ, აქცია პარლამენტის წინ არც ნაცებს, არც ევრონაცებს და მით უმეტეს დანარჩენ საქართველოს არ სჭირდება.

გაგიკვირდებათ და არავის სჭირდება ნიკა გვარამიას გარდა.

დიახ, ნიკა გვარამიას გარდა, რომელიც ზუსტად ისე იქცევა, როგორც საქალაქთაშორისო ავტობუსის მგზავრი ქალბატონი, რომელიც ცარიელ სკამზე ადგილის დასაკავებლად ჩანთას დებს და თვითონ თავის საქმეებზე გარბის.

გვარამიას იმედი აქვს, რომ მიმდინარე აქციას გადაზრდის „რუსთავი-2“-ის ვითომდა დასაცავ აქციაში.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მისი ილეთები რამდენჯერმე ნანახი გვაქვს. დამერწმუნეთ, რომ ის, გერმანიის ელჩისა არ იყოს, სტრასბურგის სასამართლოსაც დაუპირისპირდება. ჩვენ კი, უბრალოდ, დაველოდოთ 18 ივლისს და ვიქონიოთ სახელმწიფოს იმედი, რომ საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას მაინც აღასრულებს.

ცხადია, ნაცმედია აქტიურად „აშუქებს“ მიმდინარე მოვლენებს და ცდილობს ე.წ. „ცნობადი სახეები“, „სახეები“, რომლებიც საზოგადოებაში არცთუ ისე დიდი სიმპათიით სარგებლობენ, მაქსიმალურად ჩართონ თავიანთი მხარდაჭერის პროცესში. საოცარია, მაგრამ თამუნა ვარშალომიძისა (რომელმაც თავის ბოხოლია უკანალზე პუტინის პორტრეტი წარწერით „პუტინ ხუილო“ ამოისვირინგა) და ნინო ქათამაძის მეტი, ფაქტობრივად, ვერავინ იპოვეს.

იმასაც ვიტყვი, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის აბსოლუტურად სულერთია, რა ექნება ამოსვირინგებული ტრაკზე თამუნა ვარშალომიძეს და ნინო ქათამაძე რუსეთში იმღერებს, ამერიკაში თუ ზიმბაბვეში. ასევე, აბსოლუტურად სულერთია, რა ჰონორარს აიღებენ თავიანთ გამოსვლებში.

რაც შეეხება კონკრეტულად ნინო ქათამაძეს, მის მიმართ გაჩენილი აგრესიის უმთავრესი მიზეზი არის არა ის, რომ მან 22, თუ 23 ივნისს მოსკოვში იმღერა, არა ის, რომ ის ბევრი წელი რუსეთში იყო, არა ის, რომ მავანს მისი „ლაბადებუდეი“, ან საუბრის „ჯაან მოჩლექილი“ მანერა არ ევასება, არამედ ის, თუ როგორი ფორმით გამოხატა თავისი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენების მიმართ.

– მე რუსეთში აღარ ვიმღერებ – განაცხადა ნინო ქათამაძემ.

– ამ ჩემს შაშა და კოლას – გაიფიქრეს საქართველოს მოქალაქეებმა და მათმა გარკვეულმა ნაწილმა გააგრძელა ფიქრი იმაზე, თუ როგორ წავიდეს რუსეთში სამუშაოდ.

ტყუილი, დიახ, ტყუილი რითიც სცადა, რაღაც „აჩოკები“ დაეწერა „რუსთავი-2“-თან და იმ ე.წ. „პრადვინუტ“ ტიპებთან, რომლებიც რატომღაც აწესებენ გემოვნების ნორმებს.

ქათამაძის „განცხადება“ ძალიან ზუსტად შეაფასა თეონა კონტრიძემ: მას რომ ეთქვა, პუტინის რუსეთში არ ვიმღერებ, თავად რუსეთში ძალიან ბევრისთვის მისაღები იქნებოდაო, ამით კი ბევრი პროდიუსერი ძალიან გააოცაო (ჩემი მხრივ დავამატებ, რომ – პროდიუსერები გაოცდნენ და ზუსტად ის გაიფიქრეს, რაც საქართველოს მოქალაქეებმა).

მუდამ ვამბობდი და კიდევ ვიტყვი – როცა ე.წ. „ცნობადი სახე“ ხარ, აბსოლუტურად ყველა საქციელი და ყველა სიტყვა ძალიან დიდი რუდუნებით უნდა შეაფასო, თორემ „სახიდან“ „როჟად“ გადაქცევამდე, ერთი ნაბიჯია.

მიუხედავად იმისა, რომ ქათამაძის შემოქმედება არ მომწონს და მის კონცერტზე, სავარაუდოდ, არასდროს არ წავალ (ნუ, რა იცი, რა ხდება და ვინ დამპატიჟებს), ვიტყვი, რომ მრავალი წლის წინ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, როცა ჩემს საყვარელ მულტფილმში „ზღარბუნა ნისლში“ მისი სიმღერა მოვისმინე (გაგიკვირდებათ და იქ ძალიან მომეწონა), ხოლო ის უაზრო „პატრიოტული აღტკინება“ კი, რაც მან გამოამჟღავნა, სრული სისულელე იყო.

სრული სისულელე, რაც, სავარაუდოდ, პირველ რიგში, მისი არამცთუ ცუდი, ფაქტობრივად, სრული არაინფორმირებულობის ბრალია (მე მინდა, ასე ვიფიქრო).

იმაში კი აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ნინო ქათამაძე 23 თებერვალს წითელ მოედანზეც იმღერებს, თუ მას კარგად გადაუხდიან.

ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი და ყოველგვარი შეფუთვა – რაღაც ფორმით ან „გაპრავება“, ან ზედმეტი უარყოფითი ემოცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყალბია.

სწორედ ეს სიყალბეა, პირველ რიგში, მოსაშორებელი. სიყალბე პოლიტიკაში, სიყალბე მედიაში, სიყალბე „ცნობილი სახეების“ ცნობადობაში!..

სწორედ ამიტომ მჯერა, რომ საზოგადოების მიერ თავისი დამოკიდებულების ჩვენება, რომელიც 7 ივლისს სპორტის სასახლეში მოხდება, სიყალბის გაცამტვერების დასაწყისი გახდება.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

მთავარია არა ვალის რაოდენობა, არამედ მისი ეფექტურად გამოყენება!



(პირველი გვერდიდან)

იმ დროისათვის სსრკ-ის საზღვარგარეთული აქტივებისა და სხვა ქვეყნებიდან მისდამი ვალდებულებების ჯამური სიდიდე რატომ 4-ჯერ არ აღემატებოდა საბჭოთა ვალებს სხვა ქვეყნების მიმართ. ამიტომაც საქართველოს ხელისუფლება საკმაო დროის მანძილზე „ფეხს ითრევდა“ შესაბამისი „ნულოვანი ვარიანტის“ აღიარებაზე. თუმცა 2000 წლისთვის „პარიზის კლუბში“* რუსეთის დემარშის გამო, საქართველო იძულებული გახდა, დათანხმებულიყო ხსენებულ „ნულოვან ვარიანტზე“. ამ თანხმობით საქართველომ მოიპოვა საერთაშორისო მასშტაბით ახალი სესხების აღების უფლება და, იმავდროულად, გადაუვადდა რუსეთისადმი იმ დროისათვის ჩამოყალიბებული სახელმწიფო ვალი. ბედის ირონიად უნდა ჩაითვალოს, რომ რუსეთისადმი გადავადებული დაახლოებით 160 მლნ. დოლარის ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდა იმ ვალდებულებებზე, რომლებიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1992 წელს დასავლეთ საქართველოში რუსეთიდან სომხეთში გაგზავნილი ტვირთების გაძარცვისა (აფხაზეთში 1992 წლის აგვისტოში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დაქვემდებარებული შეიარაღებული ფორმირებების შეყვანის მთავარი საბაბი) და რუსეთში საქართველოდან გაგზავნილი ყალბი ავიზოებით რამდენიმე ასეული მილიონი რუბლის გამოტანის გამო.

2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 17.8 მლრდ. აშშ დოლარია, რაც საქართველოს ბოლო ოთხი კვარტალის მანძილზე ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიგა პროდუქტის 110 პროცენტია.

ბევრია ეს თუ ცოტა?

რომ იტყვიან, ყველაფერი შეფარდებითია.

ჯერ ერთი, ამ ვალის მთლიანი მოცულობიდან **სახელმწიფო** – ქვეყნის მთავრობის ან ეროვნული ბანკის სახით – არ არის ყველაფრის ამღები და, შესაბამისად, პასუხისმგებელი. – უშუალოდ **სახელმწიფო სექტორის წილად მოდის მთლიანი საგარეო ვალის მხოლოდ 41.6 პროცენტი – 7.4 მლრდ. აშშ დოლარი (20.0 მლრდ. ლარი),** რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 5.4 მლრდ. აშშ დოლარი (14.4 მლრდ. ლარი; მთლიანი ვალის 30.3 პროცენტი), ხოლო ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 376.4 მლნ. აშშ დოლარი (1.0 მლრდ. ლარი; მთელი ვალის 11.3 პროცენტი).

საგარეო სესხების დანარჩენი, ანუ დიდი ნაწილი (თითქმის 3/5) მოდის არასახელმწიფო სექტორზე – კომერციულ ბანკებზე, ბიზნესსა და კომპანიათაშორის სესხებზე, ანუ ამ ვალის გასტუმრებაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია. – ისინი მთლიანად შესაბამისი კომერციული საბანკო თუ ბიზნესსტრუქტურების პასუხისმგებლობითაა აღებული. კონკრეტულად, კერძო საბანკო სექტორის საგარეო ვალი 4.2 მლრდ. აშშ დოლარია, სხვა სექტორების საგარეო ვალი კი – 5.4 მლრდ. აშშ დოლარი (14.7 მლრდ. ლარი; მშპ-ს 33.6 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალი – 2.4 მლრდ. აშშ დოლარი (6.5 მლრდ. ლარი; მშპ-ს 14.9 პროცენტი).

ზოგადად, საერთაშორისო სესხები – ეს არის „ქუჩა ორმხრივი მოძრაობით“. – სახელმწიფოები და მისი ბიზნეს-სუბიექტები ერთ შემთხვევაში გამოდიან როგორც კრედიტორები, მეორე შემთხვევაში კი – როგორც სესხის ამღებები. ამიტომ, მართალია, საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო მასშტაბით ჯერჯერობით მხოლოდ „ხელი აქვს გაშვერილი“ და სხვა ქვეყნებისადმი კრედიტორის მუნდირი ჯერ არ მოურგია, მაგრამ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოებს, აგრეთვე ქვეყნის კომერციული ბანკებსა და ბიზნეს სტრუქტურებს 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, **სხვა ქვეყნების სუბიექტებზე გაცემული აქვთ დაახლოებით 7.4 მლრდ. აშშ დოლარის სესხები.** შესაბამისად, **საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა** (სხვაობამ აღებულ და გაცემულ სესხებს შორის) 10.4 მლრდ. აშშ დოლარი (28.1 მლრდ. ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ის 64.4 პროცენტია. აქედან, **სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი „მხოლოდ“ 3.9 მლრდ. აშშ დოლარია (10.6 მლრ. დოლარი) – ქვეყნის მშპ-ის 1/4-ზე ნაკლები (24.2%).**

ჩვენთვის, ბუნებრივია, პირველ რიგში, სწორედ სახელმწიფოს პასუხისმგებლობითა და ვალდებულებებით აღებული ვალებია საინტერესო.

ქართული სახელმწიფო, მისი ხელისუფლება ვალებს იღებს ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ა.შ.) ან კონკრეტული სახელმწიფოსაგან (აშშ, გერმანია, იაპონია, კუვეიტი, თურქეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.). ბოლო მონაცემებით, **საგარეო სესხების 73.7% აღებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან, 17.0% – სხვა სახელმწიფოებისაგან, 9.2% – გამოშვებული ფასიანი ქაღალდებია** (ე.წ. ევრობონდები, რომლებსაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით). ყველა საგარეო ვალის საშუალო საკონტრაქტო ვადა 22.2 წელია, საიდანაც საშუალო შეღავათიანი პერიოდი (ანუ დრო, რომლის განმავლობაში არ ხდება ვალის მომსახურება) – 8.1 წელი, საპროცენტო განაკვეთი (2.20%) კი საკმაოდ ახლოსაა განვითარებული ქვეყნების ინფლაციის მაჩვენებელთან. მაგალითად, 21-ე საუკუნის გავლილი 18 წლიდან აშშ-ში ინფლაციის მაჩვენებელი 9 წლის მანძილზე 2.2%-ზე მეტი იყო.

საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი (არასახელმწიფო სექტორის – კომერციული ბანკებისა და ბიზნეს სექტორის ჩათვლით) დაახლოებით 4.8 ათასი აშშ დოლარია, მათ შორის უშუალოდ სახელმწიფოს (მთავრობისა და ეროვნული ბანკის) – დაახლოებით 2.0 ათასი აშშ დოლარი.

ვუბრუნდებით ზემოხსენებულ რიტორიკულ და, საკითხის კონტექსტში, თითქმის საკრალურ კითხვას: **ბევრია ეს თუ ცოტა?**

შედარებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგალითად, აშშ-ის ერთ მოქალაქეზე ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის სიდიდე 58.2 ათასი აშშ დოლარია, გერმანიაში – 65.6 ათასი აშშ დოლარი, საფრანგეთში – 87.2 ათასი აშშ დოლარი, გაერთიანებულ სამეფოში – 127.0 ათასი აშშ დოლარი...

რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების ეკონომიკები საქართველოზე გაცილებით დიდები და ძლიერებია, თუმცა მოსახლეობის ერთ სულზე ვალის სიდიდით ისინი გაცილებით მეტად გვისწრებენ, ვიდრე წარმოებული მშპ-ით. ამიტომაც **ვალის რეალური სიმძიმის განსაზღვრისათვის მის სიდიდეს ქვეყნის მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს – მთლიან შიგა პროდუქტს უდარებენ.** ამ მაჩვენებლით კი მსოფლიოს 188 სახელმწიფოს შორის საქართველო (მშპ-ის 110%) არც თუ სახარბიელო – 36-ე ადგილზე იმყოფება, „სადღაც“ სლოვენიასა და ბუტანს შორის. შედარებისათვის: აშშ საგარეო ვალი ამ ქვეყნის მშპ-ის 115%-ია, გერმანიისა, შესაბამისად, 141%, საფრანგეთის - 213%, გაერთიანებული სამეფოსი – 313%, ნიდერლანდების კი – 522%.

მაგრამ, თუ მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობით აღებულ სესხებზე ვისაუბრებთ, რომელებშიც, რა თქმა უნდა, ქვეყნის შიგნით აღებული სესხებიც იგულისხმება, მაშინ საქართველოს სახელმწიფო ვალი ქვეყნის მშპ-ის მხოლოდ 45.8 პროცენტია. თუ ანალოგიურად მივუდგებით სხვა ქვეყნების სახელმწიფო სესხების შეფასებასაც, ვნახავთ, რომ კერძო სექტორის გამოკლებით ქვეყნის ვალების მაჩვენებელი საგრძნობლად მცირდება, თუმცა ბევრ ქვეყანაში იგი მაინც საქართველოს შესაბამის მაჩვენებელზე მაღალია. მაგალითად, აზერბაიჯანის სახელმწიფო ვალი შეადგენს ამ ქვეყნის მშპ-ის 48.8 პროცენტს, სომხეთისა – 56.7 პროცენტს, გაერთიანებული სამეფოსი – 87.0 პროცენტს, საფრანგეთისა - 98.5 პროცენტს...

მაგრამ, თუ მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობით აღებულ სესხებზე ვისაუბრებთ, რა თქმა უნდა, აღნიშნულ თანაფარდობაზე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის კურსი. – ამ კურსის სიდიდე და სახელმწიფო ვალის სიდიდეები ერთმანეთთან ფაქტობრივად, უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში არიან. – რაც უფრო მყარია ეროვნული ვალუტა, მით უფრო მსუბუქია სახელმწიფო ვალის ტვირთი, ხოლო ეროვნული ვალუტის კურსის დაცემის შემთხვევაში შესაბამისი პროპორციით იზრდება (თვით ახალი ვალების აუღებლობის პირობებშიც კი) ვალის ტვირთი. **მიზანშეწონილია, რომ მთავრობის მიერ აღებული საშინაო და საგარეო ვალის ჯამური სიდიდე არ აღემატებოდეს: მშპ-ის 60 პროცენტს** (როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ამ მხრივ ჯერჯერობით „რესურსი კიდევ აქვს“ – ამ კრიტერიუმით მას შეუძლია დამატებით კიდევ არანაკლებ 2.2 მლრდ. აშშ დოლარის სესხის აღება), **მისი მომსახურების სიდიდე** კი – მშპ-ის 5 პროცენტს (ამჟამად ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2.2%-ია). ამასთან, 2021 წლისთვის, როდესაც დადგება საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე „ეგზოტიკური“ საგარეო ვალის – ე.წ. ევრობონდების (500 მლნ. აშშ დოლარის) გადახდის დრო, საგარეო ვალების მომსახურების თანაფარდობა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებთან პრაქტიკულად გაორმაგდება და 2018 წლის 8.5%-ის ნაცვლად 16.5%-ს მიაღწევს. ეს ის ევრობონდებია, რომელთა მეშვეობითაც 2008 წლის გაზაფხულზე საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ მოახერხა 500-მილიონიანი სესხის აღება მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისათვის, კონტრაქტის მიხედვით გადახდის საბოლოო ვადად კი 2013 წელი იყო დათქმული.

დღეს 2019 წელია, არც გაზსაცავია აშენებული და არც ვალებია გასტუმრებული (ესაა, რომ 2011 წელს „მოხერხდა“ აღნიშნული ვალის რესტრუქტურიზაცია – გადახდის გადავადება 8 წლით და აღებული სესხის მომსახურებაზე 0.3 პუნქტით ნაკლებ წლიურ პროცენტზე კრედიტორის დათანხმება). მაგრამ თუ როგორ მოხდა დასახელებული 500 მლნ. აშშ დოლარის ათვისება, ამაზე კონკრეტული პასუხის მისაღებად, ალბათ, ფინანსთა სამინისტროს უნდა ვკითხოთ. მარტივი გათვლებიც კი ადასტურებენ, რომ **აუშენებელი მიწისქვეშა გაზსაცავისათვის აღებულ 500-მილიონიან კრედიტში 2021 წლისთვის ჯამში, თავის პროცენტიანად, 900 მლნ. აშშ დოლარი იქნება გადასახდელი!** ამის გამო ორი წლის შემდეგ ბიუჯეტში ყველა წყაროდან მობილიზებული ყოველი მეექვსე ლარი საგარეო ვალის მომსახურებაზე იქნება წარმართული.

ზოგადად, თანამედროვე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური სისტემა აგებულია იმ პრინციპებზე, რომ **მთავარია არა ვალის სიდიდე, არამედ მისი მომსახურების შესაძლებლობა.** მდიდარი ქვეყნები და მისი სუბიექტები თავიანთ საქმიანობას დიდწილად აღებული კრედიტებით ახორციელებენ. – სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემო, მათ შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაქსიმალურად მოკლე ვადებსა და მინიმალური დანაკარგებით შეძლონ (კრედიტის ღირებულება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საქართველოსთან შედარებით დაახლოებით 2.5-ჯერ უფრო დაბალია). მაგრამ ეს პრინციპი აგრეთვე გულისხმობს აღებული ვალების მიზნობრიობის, ათვისებისა და დაფარვის ვადების მკაცრ დაცვას. როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ამ მხრივ ქართულ მხარეს ჯერჯერობით სატრაბახო ნამდვილად ბევრი არა აქვს.

სამთავრობო ვალებზე საუბრისას ჩვენ აქამდე ფაქტობრივად გაკვრით შევეხეთ ვალების მობილიზების კიდევ ერთ, ქვეყნის **შიდა რესურსებს.** არადა, ქვეყნის სახელმწიფო (სამთავრობო) ვალების დაახლოებით 1/5 საშინაო ვალებზე მოდის. ვისა აქვს ქვეყნის შიგნით იმდენი ფინანსური რესურსი, რომ მთავრობის მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს?! – დღევანდელი მოცემულობით, ამის რესურსი მხოლოდ კომერციულ ბანკებს აქვთ.

საქართველოს მთავრობას მიმოქცევაში გამოშვებული აქვს 6 და 12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები, 2, 5 და 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები. წლიური საშუალო სპროცენტო განაკვეთი, 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით, 8.3% იყო, ანუ საგარეო ვალების საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთთან (2.20%) შედარებით თითქმის 3.8-ჯერ უფრო მაღალი. ამიტომაცაა, რომ 2018 წელს,მიუხედავად სამთავრობო ვალების მთლიან მოცულობაში შედარებით დაბალი წილისა (1/5-ზე ნაკლები), საშინაო ვალის მომსახურებაზე მომსახურების მთლიანი თანხის თითქმის ნახევარი (47.0%) მოდიოდა. მთლიანობაში, **საშინაო და საგარეო ვალის მომსახურებაზე მხოლოდ პროცენტის სახით 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა 520 მლნ. ლარზე მეტი გადაიხადა** (275.8 მლნ. ლარი – საგარეო და 244.3 მლნ. ლარი – საშინაო ვალის პროცენტის სახით).

რა თქმა უნდა, ერთ სტატიაში ძნელია ვალების მთელი ანატომიისა და გენეალოგიის წარმოჩენა, თუმცა გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეუქმნის ამ სფეროდან მეტ-ნაკლებად შორს მდგარ ადამიანებს. მაგრამ ის, რომ მხოლოდ სამთავრობო სექტორის ხაზით წლის განმავლობაში ვალების მომსახურებაზე (ძირითადი თანხის დაფარვასა და პროცენტის გადახდაზე) საბიუჯეტო შემოსულობებიდან მიემართება ყოველი მეხუთე ლარი, არ შეიძლება, არ იწვევდეს ჩვენი, არც თუ მდიდარი და შეძლებული საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას. თუ რამდენად რაციონალურად, მიზნობრივად იხარჯება, გამოიყენება სესხების მეშვეობით მოგზილიზებული სახსრები – ეს ნამდვილად წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს, რამეთუ მათი დაფარვის ერთადერთი, უალტერნატივო წყარო მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებისა და ბიზნესის ძალისხმევით შეკრულ-შეკოწიწებული სახელმწიფო ბიუჯეტია...

იოსებ არჩვაძე.
2019 წლის ივლისი

**„პარიზის კლუბი“ მდიდარი კრედიტორი სახელმწიფოების (სულ 21 სახელმწიფო) არაფორმალური გაერთიანება, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სუსტი და განვითარებადი ქვეყნების კრედიტორი ქვეყნებისადმი დავალიანების რესტრუქტურიზაცია. მისგან განსხვავებით, ე.წ. „ლონდონის კლუბი“ დაკავებულია შესაბამისი პრობლემების მოგვარებით კერძო კრედიტორი ბანკების მიმართ.*

◎ ბიზნესი და პოლიტიკა

თუ ნაცებს ხმა არ ჩავაკმეინდინეთ, მოსკოვში ქართველების მიმართ აგრესია არ ჩაცხრება...

ახალი ამბების ნაკადი არ წყდება — 155 000 მგზავრი დაზარალდება საქართველოს მიმართულებით ავიარეისების გაუქმების გამო — ისინი ვერ ისარგებლებენ ნაყიდი და შეკვეთილი ავიაბილეთებით, „როსპოტრებნადზორმა“ გააძლიერა კონტროლი ქართულ ღვინოზე, რაც იმის ნიშანია, რომ შესაძლოა, ეს დარგი აღმოჩნდეს დარტყმის ქვეშ.

სოციალური ქსელები დუღს ურთიერთბრალდებებისგან — რუსების ქართველებისადმი და პირიქით. ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს მტრობა ქვეყნებს შორის უახლოვდება კრიტიკულ ზღვარს და მალე მიაღწევს 2006 წლის დონეს.



ამ ფონზე საინტერესოა, რას ფიქრობენ შექმნილ სიტუაციაზე ღვინის მაღაზიები და ასევე მოსკოვში მცხოვრები ქართველები?

2000-იან წლებში მოხდა ის, რასაც მოგვიანებით დაერქვა ღვინის სკანდალი — მაშინ რუსეთის ხელისუფლებამ აკრძალა ქართული ღვინის იმპორტი მასში პესტიციდების დიდი რაოდენობის გამო. შემდეგ იგივე ბედი გაიზიარა „ბორჯომმა“ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ.

ეს არ იყო შემთხვევითი — მთელი ეს კამპანია მიმდინარეობდა თბილისს და მოსკოვს შორის ურთიერთობების უკიდურესი გამწვავების ფონზე. ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე დაბრუნდა მხოლოდ 5 წლის შემდეგ.

როგორც ჩანს, ამ ისტორიას აქვს გამეორების დიდი შანსები. „როსპოტრებნადზორმა“ ისევ გაამკაცრა კონტროლი ქართულ ღვინოზე და ამის მიზეზად დაასახელა ბოლო წლებში ამ პროდუქტის ხარისხის ვარდნა — 2014-2018 წლამდე საქართველოდან უხარისხო ღვინის რაოდენობა გაიზარდა 3-ჯერ და უკვე 2019 წლის განვლილი პერიოდში შეადგინა 203 000 ლიტრი.

უკვე დღეს რამდენიმე ქართული კომპანიის პროდუქციის იმპორტი რუსეთში აიკრძალა და გამორიცხული არაა, რომ იგივე მოუვა დანარჩენ მწარმოებლებსაც.

თუმცა, რამდენად საშიშია შექმნილი მდგომარეობა რეალობაში და როგორ იმოქმედებს ის რუსეთში ქართულ ღვინის გაყიდვებზე?

„ჩვენს მაღაზიებში ქართულ ღვინო არ იყიდება დიდი რაოდენობით — სულ 2-3% მთელი გაყიდვებიდან. ასე რომ, თუ მისი იმპორტი აიკრძალება, ჩვენთვის ეს არ იქნება პრობლემა. თუმცა, არის მყიდველთა მთელი სეგმენტი, რომელიც ორიენტირებულია სწორედ ქართულ ღვინოზე, რომლის ხარისხიც 2006 წლისგან განსხვავებით გაცილებით უფრო მაღალია. არსებობს გარკვეული მოდა ქართული ღვინის რამდენიმე სახეობაზე,“ — ამბობს სავაჭრო ქსელის Wine-style-ის წარმომადგენელი.

მისი თქმით, ეს ძირითადად ეხება ე.წ. „ნარინჯის ღვინოს“, რომელიც მზადდება ქართული ტრადიციული ტექნოლოგიით — ქვევრში.

„ამ ღვინოს ყიდულობს ძირითადად ახალგაზრდობა, რომელმაც გასინჯა ის ან საქართველოში, ან მოსკოვის ქართულ რესტორნებში. ამ პროდუქტის შეცვლა სხვა ალტერნატივით შეუძლებელია — ყველაფერთან ერთად იმიტომ, რომ მის წარმოებაში გამოიყენება მხოლოდ ადგილობრივი ყურძენი. ასე რომ, ვიმედოვნებთ, აკრძალვა არ მოხდება,“ — ამბობენ Wine-style-ში.

ამ პოზიციას იზიარებს ძალიან ბევრი ადამიანი.

„ნებისმიერი აკრძალვა ცუდია. ჩვენთან, რა თქმა უნდა, იყიდება ქართული ღვინო, თუმცა, არა იმდენი, რამდენი ღვინოც სლოვენიიდან, ხორვატიიდან, ან შვეიცარიიდან,“ — ამბობენ კომპანია Винный базар-ში.

თუმცა, ეს ძირითადად ეხება ელიტარული ღვინოების გამყიდველებს, ხოლო რაც შეეხება მსხვილ სავაჭრო ქსელებს, სადაც იყიდება უფრო დემოკრატიული და ხელმისაწვდომი ღვინო, სიტუაცია სხვანაირია.

„რამდენად იმოქმედებს აკრძალვა ჩვენზე — ვერ გეტყვით, მაგრამ ნამდვილად იმოქმედებს ჩვენს მომხმარებლებზე. ქართული ღვინოები საკმაოდ კარგად იყიდება. რა თქმა უნდა, იტალიური ღვინო უფრო პოპულარულია და მრავალფეროვანი, თუმცა, ქართული ღვინო პოპულარობით დიდად არ ჩამორჩება. თანაც, აქ საქმე ნამდვილად არ არის საბჭოთა ნოსტალგიაში, რადგანაც ყიდულობენ ძირითადად ახალგაზრდები. განსაკუთრებით პოპულარულია „ქინძმარაული“, რომლის შეცვლაც საკმაოდ რთულია — ალბათ, გამოდგება რამდენიმე ფრანგული ნახევრად ტკბილი ღვინო.

— აფხაზური? არა, არ გირჩევთ,“ — ამბობს მაღაზიების ქსელის „Ароматный мир“-ის წარმომადგენელი.

მაღაზიები და სავაჭრო ქსელები, რომლებშიც ყიდიან ქართულ ღვინოს, გახდებიან მორიგი სამთავრობო შეტევის მსხვერპლები, თუმცა, როგორც ჩანს, მოსკოვში მომუშავე ქართულ სამზარეულოს რესტორნებს არაფერი არ ემუქრებათ — მათი მფლობელები და მენეჯერები არიან ოპტიმისტურ განწყობაზე და არ ელიან არანაირ პრობლემებს.

„ჩვენთან კლიენტები როგორც მოდიოდნენ, ისევე მოდიან, როგორც გვიღიმოდნენ, ისევე გვიღიმიან. დარწმუნებული ვარ, რომ სულ ასე იქნება, რადგანაც საჭმელი და ღვინო აერთიანებს და აკეთილშობილებს ადამიანებს,“ — ამბობს ქართული რესტორნის Georgian kitchen-ის მენეჯერი ნათელა.

„ყველაფერი მიდის გეგმურად, ადამიანები მოდიან, ჯავშნები არ უქმდება, სტუმრები ისვენებენ, ბავშვები მხიარულობენ, საუბრები მაღალ ტონებში არ არის, პოლიტიკური თემები არ განიხილება, ქართული ღვინო ისმევა, და მჯერა ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელების სიბრძნის, და მწამს, რომ ქართული ღვინო დაილევა მომავალშიც“ — ამბობს რესტორან Грузинские каникулы-ს მენეჯერი არტური.

„ვერ ვიტყვი რა ხდება სხვაგან, თუმცა, ჩვენი ადგილი სრულიად უკონფლიქტოა. არ ვიცით, რა შეიძლება მოხვდეს სოციალურ სფეროში მორიგი ქართულ-რუსული კონფლიქტის გამო, თუმცა, ჩვენთან მოდიან საჭმელად და არა საომრად,“ — აღნიშნა საცხობ Valiko-ს თანამშრომელმა.

თუმცა, ერთია ბიზნესი, მეორე კი — ჩვეულებრივი ხალხი. სწორედ ისინი ხვდებიან ყველაზე ხშირად აგრესიას და შეურაცხყოფას ეროვნულ ნიადაგზე.

როგორც გრძნობენ თავს დღეს ქართველები რუსეთში? როგორია მათთვის შეურაცხყოფების ნიაღვარი, რომელსაც ისინი დღეს ყოველდღიურად ისმენენ რუსული საინფორმაციო საშუალებებიდან?

„სამწუხაროდ, ბევრი ნეგატივი ისმის დღეს ორივე მხრიდან — ქართველებსაც და რუსებსაც ახასიათებთ მასის სინდრომის დიდი გავლენა. ორივეს გამო მრცხვენია, რადგანაც დღეს ყველაზე ხმამაღლა ისინი ყვირიან, ვინც არ იცის ჩვენი ქვეყნების ხანგრძლივი კულტურული და ისტორიული კავშირების შესახებ. მახარებს მხოლოდ ის, რომ არც ერთი ინტელიგენტი ადამიანისგან არც ერთ მხარეზე არ გამიგია არც რუსეთის და არც საქართველოს ლანძღვა,“ — ამბობს მსახიობი ნუცა ხუბულავა.

„დღევანდელი მოვლენები ჩემზე, საბედნიეროდ არ აისახება, თუმცა, რა თქმა უნდა, მწყინს ნეგატიური გამონათქვამების მოსმენა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოშობით თბილისიდან ვარ. ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ადამიანებისადმი დამოკიდებულების შეცვლა პოლიტიკური მოვლენების საფუძველზე? ისე, ზოგჯერ მესმის თბილისის სამართლიანი კრიტიკა, რომელსაც ვეთანხმები იმის მიუხედავად, რომ ეს არ მსიამოვნებს,“ — ამბობს მოსკოველი დიზაინერი მიხეილ ქვრივიშვილი.

„საშინელებაა, როდესაც სოციალურ ქსელებში მეკითხებიან — „რატომ ცხოვრობს რუსეთში, თუ მიიჩნევს მას ოკუპანტ ქვეყნად? ეს მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ბევრმა რუსეთში საერთოდ არ იცის, რატომ თვლიან საქართველოში რუსეთს ოკუპანტად. თუმცა, მიხარია, რომ რუსეთში კიდევ ძალიან ბევრია ადამიანი, რომლებსაც უყვართ საქართველო მთელი ამ პროპაგანდის მიუხედავად, ამიტომაც, მე უკვე ნაკლებად ვრეაგირებ ლანძღვა-გინებაზე,“ — ამბობს პროდიუსერი და მსახიობი დიანა ნერსესოვა.

MOSLENTA.RU

ვახტანგ ჭარაია:
ქვეყანა წაგებული დარჩება!

რაც უფრო დიდხანს მიეცემა შესაძლებლობა იმპორტიორს, ჩაგროს ადგილობრივი ბიზნესი, მით მეტად გადაიდება საქართველოს პროგრესიც

დიახ, რაც უფრო დიდხანს მიეცემა შესაძლებლობა იმპორტიორს, ჩაგროს ადგილობრივი ბიზნესი, მით უფრო დიდი ხნით გადაიდება საქართველოს პროგრესიც, — ამის შესახებ თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, ეკონომისტი ვახტანგ ჭარაია სოციალურ ქსელში წერს.

ჭარაია აღნიშნულ განცხადებას ანტიდემპინგური კანონის მიღებასთან დაკავშირებით აკეთებს, რომელსაც საქართველოს მთავრობა უახლოეს მომავალში მიიღებს და იგი 2020 წლის იანვრიდან შევა ძალაში.

— წლების განმავლობაში საუბარი იყო, რომ ანტიდემპინგური კანონი როგორ არა გვაქვსო...

მოდის ანტიდემპინგური კანონი და ბიზნესის ერთი ნაწილი გაიძახის, რა საჭიროა ასეთი კანონიო...

ანტიდემპინგური კანონი ნიშნავს, რომ ადგილობრივ მწარმოებელს, უცხოური იმპორტიორი თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ვეღარ გაუწევს კონკურენციას. საბოლოო ჯამში ადგილობრივ მწარმოებელს ეძლევა შანსი განვითარებისა, იქმნება სამუშაო ადგილები და ძლიერდება ეროვნული ეკონომიკა. ერთი შეხედვით (და ასეც არის) მშვენიერი ინიციატივაა. თუმცა, უცებ გამოჩნდნენ იმპორტზე მომუშავე „დისტრიბუტორები“, რომლებიც თურმე ამაში საშიშროებას ხედავენ და მოსახლეობას „ასწავლიან“ რომ ამან შეიძლება, პროდუქციის ღირებულება გაზარდოს.

იმას კი უმალავენ, რომ, თუ ამ ქვეყანაში ადგილობრივი ბიზნესი ვერ განვითარდა, საბოლოო ჯამში ერთხელ-ორჯერ-შვიდჯერ იაფად მიყიდვის მერე ეს პროდუქტი ერთბაშად ისე გაძვირდება, რომ მომხმარებელიც, ადგილობრივი ბიზნესმენიც და მთლიანობაში ქვეყანაც — წაგებული დარჩება. რაც უფრო დიდხანს მიეცემა შესაძლებლობა იმპორტიორს, ჩაგროს ადგილობრივი ბიზნესი, მით უფრო დიდი ხნით გადაიდება საქართველოს პროგრესიც, — აცხადებს ჭარაია.

განათლების მინისტრი უარყოფს ინფორმაციას, რომ ზუგდიდში ინსპექციის გაგზავნა გიორგი გახარიამ დაავალა

აღნიშნული ინფორმაცია რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის ერთ-ერთი სკოლის ყოფილი დირექტორის ია კერზაიას შვილმა ბაჩანა შენგელიამ გაავრცელა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის თქმით, გარდაცვლილ ია კერზაიას საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და თუ შედეგად მისი ბრალეულობა გამოიკვეთება, ის მზად, არის თანამდებობა დატოვოს.

„ბევრჯერ მაქვს გაცხადებული, არანაირი ასეთი ინფორმაცია არ ყოფილა. როგორც იცით, მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ამ მიმართულებით საკმაოდ აქტიურად მუშაობს. პირველივე დღიდან ვამბობდი, როგორც კი ამ მიმართულებით სამინისტროს ან ჩემი რეაგირება გახდება საჭირო, არამარტო იურიდიული, არამედ მორალური პასუხისმგებლობაც, მზად ვარ, დავტოვო თანამდებობა“, — განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

სტალინის მავზოლეუმი... თბილისის სემინარიაში

ДЕВЕВАНДЕЛИ ნომრის სტუმარია საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნება, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე ГРИША ОНИАНИ. მას მკითხველისთვის გასაზიარებელი აქვს დიდი ხნის ნალოლიავებ-ნაოცნებარი იდეა, რომლის ხორცშესხმაც დიდად წააადგება ქვეყნის ეკონომიკასო, აცხადებს.

— ბატონო გრიშა, სანამ მთავარ სათქმელს იტყოდეთ, გთხოვთ, დღევანდელი მოვლენების შესახებ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება.

— მგონი, განმარტება არ არის საჭირო, რომ 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ სულზე მოუსწრო არამარტო საქართველოს, არამედ ქართველ ხალხს, მაგრამ „ამერიკა გაახარებს ვინმეს, განა?!“ ოკეანისგაღმელებმა კატეგორიულად მოსთხოვეს ხელისუფლებას „ყოვლისმომცველი“ კოჰაბიტაცია და ამით ქვეყნის განვითარებას მე-5 ბორბალი დაუყენეს, ანუ ქვეყანაში მე-5 კოლონა გააჩინეს. ცნობილია, რაც საუკეთესოა ნაციონალებისთვის, ის დამღუპველია ქვეყნისა და მმართველი პარტიისთვის.

მიმდინარე პოლიტიკური ქაოსი ისევ გარეშე ძალების დაკვეთით — მე-5 კოლონის მიერ ხორციელდება, მან უკვე შეიწირა მზარდი პოლიტიკოსი, პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** და კვლავ ითხოვს მსხვერპლს — მეორე მთავარი დედაბოძის — **გიორგი გახარიას** გამოცვლას. კორიდაზე ყოველთვის ტორიადორი ვერ იმარჯვებს, ზოგჯერ სწორედ ის აღმოჩნდება ხოლმე წითელი ლაბადა, რომელსაც გავეშებული ხარი რქებით ჩხვერავს.

ჩვენ სწორედ ის გამოუცდელი ტორიადორები ვართ, რომლებსაც არა ფოლადის, არამედ ლერწმის დაშნები გვიპყრია ხელთ და იმით ვიგერიებთ რუსეთის იმპერიას. ფრთხილად, ქართველებო!

ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ მას ებრძვის არა ხალხის რაღაც ნაწილი, არამედ ფარული ძალა — მე-5 კოლონა, რომელიც ხალხის სახელსაა ამოფარებული და თუ „ქართული ოცნება“ ხალხის უმრავლესობის მხარეს არ დადგება, სწორედ ის უმრავლესობა გადაუვლის, როგორც მოსყიდულ მეხუთე კოლონას, ისე ხელისუფლებას.

მხოლოდ ივანიშვილის ინიციატივა პროპორციული არჩევნების, ანუ მრავალპარტიული პარლამენტის შექმნის შესახებ, იხსნის ქართველ ხალხს და ხელისუფლებას იმ ურჩხულისგან, რომელსაც ქვეყანაში არეულობა უნდა. ოღონდ არჩევნები უნდა ჩატარდეს არჩევანით და არა მოსყიდვებითა და დანიშვნებით.

— ბატონო გრიშა, ალბათ, გახსოვთ, გასული საუკუნის ბოლოს თქვენგან ინტერვიუ ავიღე მიმდინარე პოლიტიკაზე და სტალინის ფენომენზე, მას სათაურად ჰქონდა — „როგორც ღმერთს, ისე სტალინსაც“. მახსოვს ამან მკითხველის ინტერესი გამოიწვია.

ინტერვიუს ცნობილი კრიტიკოსი და მწერალი კიტა აბაშიძე გამოეხმაურა, რომელმაც უზარმაზარი დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა გაზეთში. შემდგომ ის წერილი კრებულშიც კი შეიტანა.

ინტერვიუში საუბარი გვქონდა 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკულ მოვლენებზე, რომლის აქტიური წარმომადგენელიც, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, თქვენც იყავით. სტალინის იდეებისადმი სიყვარული და პატივისცემა დღემდე არ გაგნელებიათ, რასაც მოწმობს თქვენი ხუთტომეული „სტალინი“, რომლის 4 ტომიც უკვე მიიღო მკითხველმა. დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით განიხილავთ როგორც ეპოქას, ისე სტალინის შემოქმედებას, მის ფენომენს.

იმ შორეული ინტერვიუს გადასახედიდან რას იტყვით, დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ ყოფაზე, რას ელოდით და რა მივიღეთ?

— რასაც ველოდი, ის მივიღეთ! ველოდი — საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას, ეროვნული ტრადიციების მოშლას, ენის წარყვნას, მწერლობის, თეატრის თვისებრივ დეგრადაციას, ნაციონალური კულტურის გაღატაკებას, ეროვნებათა, ადამიანთა, კლასთა შორის უკიდურეს დაპირისპირებას და სიძულვილს, შთამომავალთა თავაშვებულობას და წინაპართა უპატივცემულობას, პატრიოტული გრძნობების მასხრად აგდებას და სიყვარულის, როგორც ცნების გაქრობას. ველოდი შიმშილს, შიშს, კაცის კვლას და ადამიანის უნდობლობას მეორე ადამიანის მიმართ...

არ ველოდი, თუ ასე განვითარდებოდა, ნაწილობრივ მაინც, გზების მშენებლობა, არ ვფიქრობდი, თუ ამ სიმაღლეებს მიაღწევდა კავშირგაბმულობა, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის თუ ასე ხელმისაწვდომი გახდებოდა გარე სამყარო, არ მეგონა, თუ ჩვეულებრივ ადამიანს 4-5 წელიწადში შეეძლო მილიონერი გამხდარიყო. არ მეგონა, თუ უბრალო მოკვდავს შეეძლო გაეკეთებინა ის, რაც ჩვენი დროის ზღაპრების წიგნშიც არ წამიკითხავს, მაგრამ არც ის მეგონა, სამმილიონიან ქვეყანაში ცხოვრობდეს 300 მილიონერი და მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს მიღმა იყოს.

— თქვენი აზრით, რა არის ყველაფერ ამის მიზეზი?

— კაპიტალიზმი! **კარლ კაუცკი** წერდა: **„პირველი ლახვარი იმას, ვინც პირველმა შემოღობა მიწა და თქვა ეს ჩემიაო“**. ჩემი სტუდენტობის დროს ტრამვაის ვაგონში პირველები მოძალადეები და თავხედები ადიოდნენ. ბოლოს — ინტელიგენტები. 90-იან წლებში, როდესაც სახალხო დოვლათის მასობრივი დატაცება დაიწყო, პატიოსანმა ინტელიგენტმა ადამიანებმა არ იკადრეს ის, რაც არ ეკადრებოდათ, თავხედმა და მოძალადემ კი თავხედურად დაიტაცა სახალხო დოვლათი და სწორედ დამტაცებელი ასწავლის დღეს იმ გაძარცვულ კაცს ცხოვრების წესს.

— აი, ერთი ნათელი მაგალითი: გამომცემლობა „სამშობლოში“, სადაც განთავსებული იყო 50-მდე გაზეთისა და ჟურნალის რედაქცია, რომელთაგანაც ზოგი ისის იყო ფეხს იდგამდა, ერთმა თავხედმა კაცმა ყველა ერთად გამოყარა ქუჩაში და შენობა თავისი სურვილით ვიღაცას აჩუქა, თუ მიჰყიდა. ნუთუ შეიძლება სადმე რომელიმე ქვეყანაში მსგავსი ქმედება მოხდეს დემოკრატიის სახელით?

— ჩვენ არ გვქონდა არც საშუალება და, ალბათ, არც უნარი, რომ ჩვენი ალალი შრომით მილიონები გვეშოვნა, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ შიმშილით ქვეყანაში არავის არ შიოდა. დღეს რომ თქვენი რედაქცია ბოხჩააკრული კარდაკარ დადის და ხან სად შეიყუჟება და ხან სად, თქვენს უზარმაზარ ნიჭსა და გაქანებას შეგნებულად რომ ავიწროებენ, ეს ნუთუ დანაშაული არ არის? ან ეს ადამიანის უფლებათა აშკარა ფარულ დარღვევად არ უნდა აღინუსხოს და ის უნდა იყოს მხოლოდ მიღწევად აღიარებული, რომ კაცი კაცზე თხოვდება?

— ბატონო გრიშა, ესე იგი, თქვენ გამორიცხავთ ადამიანურ ფაქტორს და ყველა მანკიერ მხარეს ეპოქას მიაწერთ?

— ნამდვილად ასეა, ყველა დღევანდელ დანაშაულს სოციალური საფუძველი აქვს, მაგალითად, წარსულში საწვავის ქურდობას სოციალური საფუძველი არ ჰქონდა, რადგან თვითონ საქონელი ღირდა ძალზე იაფი. ასევე იყო პური და სხვადასხვა სამომხმარებლო საქონელი. დღეს ყველა ეს პროდუქტი იმდენად გაძვირებული და ზოგჯერ ხელმიუწვდომელიცაა, რომ მისი ქურდობა ადამიანის არსებობისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. და თუ დღეს ჩადენილ დანაშაულს ვინმე დაწვრილებით გამოიკვლევს, ფაქტობრივ მიზეზს შეისწავლის, აუცილებლად აღმოაჩენს, რომ დანაშაული სწორედ ფორმაციისა და ხელისუფლების მიზეზითაა გამოწვეული.

— დადგა დრო და მომენტი, რომ პარლამენტში ცხოვრებაგამოვლილმა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებმა მოიყარონ თავი, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ამის უზარმაზარი საშუალება მისცა ხალხს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, პროპორციული არჩევნების შემოტანით. ხომ არ გიფიქრიათ, თქვენი აზრები პარლამენტის ტრიბუნიდან გაახმიანოთ?

— ახალგაზრდობა გვსაყვედურობს, თქვენი პოლიტიკა და თქვენი აშენებული ცხოვრება კარგი რომ ყოფილიყო, თავზე არ დაგემხობოდათ, ამიტომ თქვენ არაფერში არ უნდა მიიღოთ მონაწილეობაო. ის კი არა, ნაციონალი გიანოდია თავის დროზე ინტერვიუში ამბობდა, გრიშა ონიანს და მისთანებს იზოლაცია თუ არ გავუკეთეთ და ხელისუფლებაში მოვიდნენ, ჩვენ აუცილებლად დაგვხვრეტენო. მე არ ვიცი გიანოდია რა ვაჟკაცია და შეუძლია თუ არა მას ჩემი იზოლაცია, მაგრამ მე კი ნამდვილად შემიძლია ჩემი წლოვანების მიუხედავად, ერთი მაგრად მივუჟო. თუ არჩევნები მართლა ჩატარდება ბატონი ბიძინას მიზანდასახულობით, ხალხის მოთხოვნით და კანონიერებით, დარწმუნებული ვარ, 10 ათასი კაცი საქართველოში ნამდვილად მოინდომებს, ვიყო მათი რჩეული და გულწრფელად გეუბნებით, იმედებსაც გავუმართლებ.

— მაინც, რა იქნება თქვენი ძირითადი გზავნილი ამომრჩევლისადმი?

— მე არ დავპირდები და არც შემიძლია შევუსრულო, რომ ავაღორძინებ კოლექტივიზაციას, ინდუსტრიალიზაციას, მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, შევქმნი ბირთვულ სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, ამის საშუალება არ მექნება, მე მაქვს მოკლე განაცხადი — ქართველი ხალხი უნდა დავარწმუნო, რომ სტალინზე შექმნილი ყველა ბოროტი მითი ყალბი და ცილისმწამებლურია, რასაც ხანგრძლივი კვლევის შემდეგ ამტკიცებენ როგორც რუსი, ისე უცხოელი მკვლევარი ისტორიკოსები. სტალინი დღეს მსოფლიოს ნომერ პირველ მოქალაქედ ითვლება, ***„რომელიც წარსულში კი არ გადაბარგდა, არამედ მომავალში განიბნა“ (დე გოლი).***

როგორც ხალხის ოფიციალურ წარმომადგენელს, მექნება სტატუსი, ვიბრძოლო სტალინის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებისთვის. როგორც დეპუტატი და საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე, ხელისუფლებას ვაიძულებ გამოათავისუფლონ თბილისის ყოფილი მართლმადიდებელი სასულიერო სემინარიის შენობა, სადაც 1894-1899 წლებში სწავლობდა და ცხოვრობდა **იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი** და შენობის ფოიეში მოეწყოს მავზოლეუმი სტალინის ნეშტის მოსკოვის წითელი მოედნიდან მის სამშობლო საქართველოში გადმოსასვენებლად. რუსეთის ხელმძღვანელობას არ უნდა არც მისი სახელმწიფო, არც ფორმაცია და არც მისი სახის დანახვა. ამდენად, როგორც საქართველოს ღვიძლი შვილი და მსოფლიოს უდიდესი ომის მომგები მხედართმთავარი, რომელიც განისვენებს სხვა ქვეყნის ცენტრალურ მოედანზე, უნდა გადმოსვენდეს თავისი ქვეყნის ცენტრალურ მოედანზე.

თბილისში შეიქმნება ტურისტული სტალინური მარშრუტი: თბილისის მართლმადიდებელი სასულიერო სემინარია, მთაწმინდა (კეკეს საფლავი), კუკიის სასაფლაო (სტალინის პირველი მეუღლის ეკატერინე სვანიძის საფლავი), ავლაბრის არალეგალური სტამბა, თბილისის ზღვა (სტალინის ინიციატივით აშენებული), თბილისის ელმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, თბილისის ობსერვატორიის ყოფილი შენობა, თბილისის მეტრო, 9 მარტის მოედანი მშრალ ხიდთან (სადაც უნდა აღდგეს სტალინის ძეგლი, რომლის ასლიც მე მაქვს. ამის შემდეგ სტალინური მარშრუტი გაგრძელდება ქალაქ გორში (სახლ-მუზეუმი), ქუთაისში (გელათი, სადაც მას სურდა სიცოცხლის ბოლო წლები გაეტარებინა (აკაკი მგელაძის ნაამბობი), ქუთაისის ციხე, სადაც პატიმრობაში იმყოფებოდა იოსებ ჯუღაშვილი, ჩოხატაური (ხიდისთავი), ლიხაური (ცაცხვი, რომლის ქვეშაც ისტორიული სიტყვა წარმოთქვა სოსო ჯუღაშვილმა) ბორჯომი (ლიკანი, სადაც 3-ჯერ დაისვენა ბელადმა), წყალტუბო (№6 აბაზანა, სადაც მკურნალობდა სტალინი, დასასვენებელი სახლი, რომლის ეზოშიც კატასტროფა განიცადა საფოსტო თვითმფრინავმა, რომელიც საქმიანი ქაღალდებით ამარაგებდა სტალინს), ბათუმი (ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ბარცხანაში), ბათუმის საპატიმრო (სადაც პირველად დაატუსაღეს ჯუღაშვილი) და კიდევ სხვა მრავალი ადგილი, რომლებიც მომავალში კიდევ უფრო დაზუსტდება. ერთი სიტყვით, ეს იქნება მუზეუმი მთელი საქართველოს მასშტაბით.

— ვინ განაგებს და უხელმძღვანელებს ამ საქმეს?

— თბილისში არსებულ სტალინურ მარშრუტს თუ სათანადო რეკლამა გაუკეთა ხელისუფლებამ, ტურისტული ნაკადი თბილისის მავზოლეუმში კაიროს მუზეუმის დამთვალიერებელთა რაოდენობას გაუტოლდება, რაც ქვეყნის ბიუჯეტის ნახევრის ტოლფარდი იქნება. ეს არ უნდა იყოს კერძო ბიზნესის სფერო, მას ხელისუფლება უნდა განაგებდეს, ან საპარტნიორო ფონდი და მისი ბიუჯეტიც მიზნობრივად სოციალურ დაცვაზე უნდა იხარჯებოდეს.

თუ ყოველივე ამის გაკეთებას ჩემს სიცოცხლეში ვერ მოვასწრებ, შევქმნი იმის მტკიცე საფუძველს, რომ მომავალში, ვისაც მე მივიჩნევ ჩემს მემკვიდრედ, მან განაგრძოს ჩემი დაწყებული საქმე და ბოლომდე მიიყვანოს ეს კეთილშობილური მიზანი.

— როგორ მიიღებს ამ იდეას ქვეყნის მოსახლეობა, საბოლოოდ რა გამოვა აქედან, არ ვიცი, ამის დღეს განჭვრეტა ძნელია, მაგრამ წარმატებას კი გისურვებთ!

ალეკო ასლანიშვილი

◎ კლასიკური მუსიკა

ზურაბ ზურაბის ძე ანჯაფარიძის წარმატებული დებიუტი

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის 167-ე სეზონის ბოლო საპრემიერო სპექტაკლი გახლდათ ჟორჟ ბიზეს დაუვიწყარი ოპერა „კარმენი“ პროსპერ მერიმეს ამავე სახელწოდების ნოველის მიხედვით.

პრემიერა შედგა პარიზში 1875 წლის 3 მარტს, თბილისის ოპერის („საზაფხულო“) თეატრში კი 1885 წლის 15 ოქტომბერს.

ლიბრეტოს ავტორები არიან ანრი მელიაკი და ლუდოვიკ ჰალეკი.

უბერებელი სპექტაკლი წარმოდგენილია სამ აქტად. დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორი ლევან წულაძე, სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი ეკატერინე გელაშვილი. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე.

პრემიერის პირველ დღეს წამყვან პარტიებს ასრულებდნენ თეა დემურიშვილი, ანზორ ხიდაშელი და გოჩა აბულაძე.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ასევე ოპერის სოლისტები — ნინო ჩაჩუა, თამაზ საგინაძე, ახალგაზრდა სტაჟიორები — ოთარ შიშინაშვილი, გიგი გიგინეიშვილი და სხვები. თითოეულმა მათგანმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე.

პრემიერის მეორე დღეს მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა დონ ჟოზეს, დრაგუნების კაპრალის სოლო შემსრულებელს ზურაბ ანჯაფარიძეს, რომლის სასცენო დებიუტს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ზურაბ ანჯაფარიძის პარტნიორი გახლდათ ახალგაზრდა, უმშვენიერესი მეცოსოპრანო ირინა ალექსიძე — კარმენი, რომელმაც სამი საათის განმავლობაში სიმფონიური ორკესტრის მუსიკის შთამბეჭდავ ჟღერადობასთან ერთად უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. მან ოსტატობით, მაღალი გემოვნებით, არტისტიზმით მოხიბლა მაყურებელი. ესკამელიო, ტორეადორის ბრწყინვალე პარტია იმღერა ვანო გალუაშვილმა, სოფლელი გოგონა მიკაელა — ირინა თაბორიძემ, დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ლევან მაკარიძემ, ალექსანდრე დეკანოიძემ, ირა იოსებიძე-მამალაძემ, ელენე ჯანჯალიამ და სხვებმა.

კარმენის პრემიერამ უნაკლოდ ჩაიარა. მრავალფეროვან კოსტიუმებში ვიხილეთ ირინა ალექსიძე, რაც დიდ ხიბლს მატებდა მის წამყვან პარტიას.

როგორც დებიუტანტი, ზურაბ ანჯაფარიძე საოცარი დამაჯერებლობით, არტისტულად წარსდგა მაყურებლის წინაშე.

ბადრი მაისურაძისა და ზაზა აზმაიფარაშვილის ხელდასხმით ოპერის 167-ე სეზონში არაერთი მთავარი პარტია იმღერეს ახალგაზრდა სტაჟიორმა ვოკალისტებმა.

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ცნობილ ადამიანებს:

ინესა მერაბიშვილი: — ზურაბ ზურაბის ძემ ძალიან გაგვახარა, ურთულესი პარტია იმღერა. დარწმუნებული ვარ, მისი რეპერტუარი მომავალშიც ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი იქნება. ვულოცავთ ზურიკოს წარმატებულ დებიუტს და ვუსურვებთ გამარჯვებებს.

მედეა ამირანაშვილი: — თანამედროვე მსოფლიოს საოპერო სივრცეში ერთ-ერთი საინტერესო ოპერაა „კარმენი“. დღევანდელი სპექტაკლი იყო სულის ზეიმი, ბედნიერების განცდა, პირადად მე დიდი ზურაბ ანჯაფარიძის პარტნიორი ვიყავი მრავალ სპექტაკლში. ვუყურებდი ჟოზეს და თვალწინ მედგა ჩემი ზურიკო ანჯაფარიძე, რომელიც ზეციური სასუფევლიდან ადევნებდა თვალს თავისი ვაჟის წარმატებულ გამოსვლას.

„შეგიძლიათ, დამაპატიმროთ, მე მოვკალი“... — ჟოზეს დამაჯერებელი არიით დაასრულა მან ეს არაჩვეულებრივი სპექტაკლი.

ლადო კანდელაკი: — აღფრთოვანებული დავრჩი ზურიკოს ვოკალური მონაცემებით. იგი ჩემს თვალწინ გაიზარდა, მაგრამ დღეს ნამღერმა საოცარმა სოლო-პარტიამ, დუეტმა და მთლიანად ამ ურთულესი ჟოზეს პარტიის შესრულებამ, რომელიც გამოცდილ მომღერლებსაც კი უჭირთ, წარმატებით გაართვა თავი და თავისი კარიერის დასაწყისში რთული გამოცდა ჩააბარა. ვუსმენდი და გარინდულ დარბაზს თვალი გადავავლე. მაყურებლები ცრემლმორეული ღიმილით სიამოვნებით, სითბოთი და სიყვარულით უსმენდნენ უმცროს ზურაბ ანჯაფარიძეს.

მომღერლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო სწორედ მაყურებლისგან მიღებული ხანგრძლივი აპლოდისმენტები და სიყვარულია. ფეხზე წამომდგარი ზღვა მაყურებელი ბრავოს შეძახილებით და ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებდა სპექტაკლის როგორც წამყვანი პარტიების შემსრულებლებს, ისე სპექტაკლში მონაწილე თითოეულ მომღერალს, სიმფონიური ორკესტრის თითოეულ მუსიკოსს, გუნდს და დამდგმელ დირიჟორს, დიდ მაესტროს ზაზა აზმაიფარაშვილს.

ნანა ჟიჟინაძე

თუშეთის უნიკალური კადრები ევროპაში უჩვენეს

„HEIMAT AUF ZEIT“ — საქართველოს შესახებ ავსტრიის ქალაქ გმუნდენში დოკუმენტური ფილმის პრემიერა გაიმართა. ფილმის რეჟისორია რაინჰარდ ფორსტინგერი.

გადაღება თუშეთში მიმდინარეობდა და ფილმში საქართველოს მაღალმთიანი მხარის უნიკალური და ულამაზესი კადრები მოხვდა. დოკუმენტურ ფილმში თუშეთის მოსახლეობის სოციალური ყოფა და ადათ-წესებია ნაჩვენები და წარმოდგენილია ქართული ხალხური მუსიკა.

ფილმის პრეზენტაციას 300-მდე სტუმარი, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ავსტრიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები და ადგილობრივი ჟურნალისტები დაესწრნენ.

დოკუმენტური ფილმის პრემიერის ფარგლებში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ ავსტრიაში პრეზენტაცია გამართა. სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ საქართველოს სამთო ტურისტული მიმართულებით და ქართული სამზარეულოთი.

◎ უმწვავესი სატკივარი

„ცხოვრების ხე“ ნუ გახმება!

შეძახებით ხე რომ ხმება,
ამჯერად ეს „ცხოვრების ხეს“ შეეხება
და თუ არ გვსურს,
რომ შევესწროთ ავის ხილვას,
ფრთხილად, ძმებო! ძალზე ფრთხილად!

ვერ დაგვყოფენ ნაცებად და ნაციებად,
მდუღარე სულს თუ ვადროვეთ გაციება.

დე, გვახსოვდეს:
ბრიყვმა შტურმით რაც ინება
და ამით მტერს სიხარულით აცინებდა,
ძალზე ძვირი დაჯდა მისი აცილება.

მავანს უნდა,
ერი ერად აღარ დარჩეს;
მაგრამ ხალხი არ შეაჩვევს,
არც შეარჩენს
პარლამენტში შეჭრისაკენ მოწოდებას;

ასეთია მისი ნება
და სხვაგვარად არც იქნება!

ჰოდა, მართებთ ქვეყნის მმართველთ,
ჯოჯოხეთში რომ არ ჩავრჩეთ,
ჩვენი სიტყვა უთხრან იმათ,
კოდორი და ახალგორი ვინც გაყიდა,
უთხრან იმათ,
ქართველ ხალხთან ვინც იფლიდა;
სისხლის მწოველ მევახშეს და
უთხრან ჩარჩებს
და იმათაც, ვინც მათ არჩენს!

უთხრან:
— ერთხმად, ყველა ერთად,
„ცხოვრების ხის“ უკვდავებას
და სამშობლოს
გადარჩენას
სასოებით შევთხოვთ
გამჩენს!

დე, განსაჯონ დანარჩენი
და თემიდას განაჩენი!

ალექსანდრე შენგელია

დავითგარეჯის პრობლემას მეტი პრინციპულობა გადაწყვეტს!

დაახლოებით სამი დღის წინ, აზერბაიჯანულმა მხარემ დავითგარეჯში, ჩიჩხიტურის კოშკის მიმართულებით სატვირთო მანქანით, ქვიშით სავსე ტომრები მიიტანა, რომლითაც ბილიკის გამაგრება დაიწყო.

For.Ge-სთან საუბრისას დავითგარეჯის ლავრის არქიმანდრიტი **კირიონ ონიანი** აცხადებს, რომ აზერბაიჯანული მხარე ცდილობს, გაჭრას საფეხმავლო ბილიკი, რომ უსაფრთხოდ მივიდნენ ჩიჩხიტურამდე, რომელსაც თვლიან, რომ მათი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

— რა მიმართულებით განაახლა საინჟინრო სამუშაოები აზერბაიჯანულმა მხარემ?

კირიონ ონიანი: დაახლოებით ერთი თვის წინ, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, აზერბაიჯანულმა მხარემ გზა გაიყვანა ჩიჩხიტურზე, იმას უნდა შეუერთონ საფეხმავლო ბილიკი, სწორედ ამას აკეთებენ ახლა. მეტი სამუშაოს ჩატარება არ შეეძლოთ, ბუნებრივი წინაღობა გაუჩნდათ — კლდის ქანი, ამიტომ გაჩერდნენ, მაშინ უნდა აეფეთქებინათ, სხვა გზა აღარ იყო.



— ფაქტია, რომ ვითარება არის სერიოზული, მაგრამ რას აკეთებს ხელისუფლება?

— ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა არის ზედმეტად ფრთხილი. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ხელისუფლება იქნება. ხელისუფლება, რომელიც ანებებს აზერბაიჯანის მხარეს ასეთი სახის საინჟინრო სამუშაოების ჩატარებას, ის ხელისუფლება არის უპრინციპო.

— სადელიმიტაციო კომისიის მორიგი შეხვედრა ივნისის ბოლოს, თბილისში უნდა გამართულიყო, თუმცა, ეს შევხედრა არ შედგა, ისევე როგორც არ შედგა ექსპერტების მიერ ადგილზე სიტუაციის შესწავლა. გამოსავალი რა არის? ვხედავთ, რომაზერბაიჯანული მხარე უკან არ იხევს...

— ჩემი აზრით, გამოსავალი არის პრინციპული მიდგომა. ეს საკითხი მოგვარებადია, საქართველოს სახელმწიფოს რომ გააჩნდეს პრინციპული მიდგომა. აზერბაიჯანი უკან დაიხევს და ვერ გააგრძელებს საინჟინრო სამუშაოებს. ასევე, არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები — იუნესკო, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, გაერო, რომლის წარმომადგენელი ვართ როგორც ჩვენ — საქართველო, ასევე აზერბაიჯანი. ასევე არის ეუთო, რომელიც პირდაპირ მონიტორინგს ახორციელებს საზღვრებზე. ანუ, ჩვენი სახელმწიფო არ იყენებს იმ საერთაშორისო ბერკეტებს, რომლითაც შეიძლება აზერბაიჯანს შეუქმნა პრობლემა და გააჩერო.

თამთა ძარჩავა

რუსთავი-თბილისის ავტობანის ფონიჭალის მონაკვეთი აღარ აშენდება!

რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელი ავტობანის 4-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელსაც ფონიჭალაში მდინარე მტკვრის გასწვრივ უნდა გაევლო, აღარ აშენდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდი და მოსახლეობა განსახლებისა და კომპენსაციის საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ.

როგორც მგფ-ში Droa.ge-სთან საუბრისას განაცხადეს, მოსახლეობასთან შეთანხმება, რამდენიმეწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, უშედეგოდ დასრულდა. უწყების ცნობით, მშენებლობის არეალის მიმდებარედ მცხოვრებლები კომპენსაციის სახით 1 კვადრატულ მეტრზე 900-დან 1000 დოლარამდე თანხას და ტერიტორიიდან განსახლებას მოითხოვდნენ, რის გამოც მათთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

„ჩავატარეთ ყველანაირი კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ მოსახლეობის განსახლების აუცილებლობა არ იდგა და ეს გზა მოსახლეობას ხელს არ უშლიდა. იმ თანხის გადახდა კი, რომლსაც კომპენსაციის სახით ითხოვდნენ, იყო არაგონივრული და მისი გადახდა შეუძლებელია“, — ამბობენ მუნიციპალური განვითარების ფონდში.

თბილისი-რუსთავის გზის მშენებლობა, რომელიც აზიის განვითარების ბანკმა 10 მლნ ლარით დააფინანსა, სამ ლოტად იყო დაყოფილი, რომლიდანაც მეორე ლოტი აღარ აშენდება, ხოლო I და III ლოტის სამუშაოები უკვე დასრულებულია.

„პირველი და მესამე ლოტი, რომელიც თბილისიდან მიმავალ და რუსთავიდან მომავალ გზებს მოიცავდა, დასრულებულია და დარჩენილია მხოლოდ ფონიჭალის მონაკვეთი (II ლოტი), რომელსაც აღნიშნული ახალი გზები უნდა მიერთებოდა. ვინაიდან მეორე ლოტის მშენებლობა ვერ ხერხდება, ეს მონაკვეთები ჩვეულებრივ ფონიჭალის არსებულ გზას დაუკავშირდება“, — განმარტავენ მუნიციპალური განვითარების ფონდში.

კითხვაზე, იგეგმება თუ არა სხვა ალტერნეტიული გზის მშენებლობა მეორე ლოტზე, აცხადებენ, რომ ამ დროისთვის მსგავსი სამუშაოები დაგეგმილი არ არის.

შეგახსენებთ, რომ რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელი ავტობანის მშენებლობა უკვე 5 წელია, გრძელდება. მოსახლეობამ გზის ამ მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობა არაერთხელ გააპროტესტა. აქ მცხოვრები ადამიანები ამბობდნენ, რომ მათი საცხოვრებელი სახლები ავარიულ მდგომარეობაშია და მიმდინარე სამუშაოები მათ სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნიდა.

ზემო იმერეთი-რაჭის ახალი საავტომობილო გზა შენდება

ზემო იმერეთი-ონის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის ფარგლებში, შქმერი-ზუდალის 7.7 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დროისთვის აღნიშნულ მონაკვეთზე მიწისა და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 20 888 888 ლარია.

ზემო იმერეთი-ონის დამაკავშირებელი გზა დაახლოებით 52 კმ-მდე სიგრძის იქნება. ზემო იმერეთი-რაჭის ახალი საავტომობილო გზით საჩხერე-ონის მარშრუტი სულ მცირე ერთი საათით მცირდება.

ამ დროისთვის ზემო იმერეთი-რაჭის გზის პროექტის პირველი ლოტის 2.5 კმ-ზე სამუშაოები დასრულებულია, ხოლო მე-2, მე-4 და მე-6 ლოტებზე სამუშაოები მიმდინარეობს. რაც შეეხება დანარჩენ მონაკვეთებს, სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს.

გლდანულას ხიდების სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა

სარაჯიშვილის გამზირზე, მდინარე გლდანულაზე არსებული ხიდების სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა. რეაბილიტირებული ხიდი გუშინ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად გახსნა.

თბილისის მერის თქმით, ხიდები იმდენად ავარიულ მდგომარეობაში იყო, რომ ისინი, ფაქტობრივად, თავიდან აშენდა.

„ავჭალაში სამი ახალი ხიდი აშენდა. არსებული ხიდები უმძიმეს მდგომარეობაში იყო. დასაწყისში იგეგმებოდა ხიდების რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, თუმცა ავარიულობიდან გამომდინარე, ეს ხიდები დავანგრიეთ და შემდეგ, ფაქტობრივად, თავიდან ავაშენეთ. გასულ წელს დაწყებული პროექტის განხორციელებაში 8 მლნ ლარი დაიხარჯა. ამჟამად დარჩენილია გზის დახაზვის სამუშაოები, რომელსაც შემდგომი კვირების განმავლობაში განვახორციელებთ. ასევე, გამწვანდება შუა გამყოფი ზოლი. ამასთან, ჩვენ ვამუშავებთ ძალიან საინტერესო პროექტს —გამყოფ ზოლში ვაპირებთ ველობილიკის მოწყობას. მიხარია, რომ ხიდების რეაბილიტაციის პროცესში გამოყენებული მასალები საქართველოშია წარმოებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „კონსტრაქშენ სერვისი“ განახორციელა. აღნიშნულ პროექტზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 8 424 771 ლარი დაიხარჯა.

კახეთში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ახალი საწარმო ამოქმედდა

კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი საწარმო „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

წარმოების პროცესს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო

რწმუნებულთან ირაკლი ქადაგიშვილთან და სოფლისა დასოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორთან პაატა შეყელაძესთან ერთად გაეცნო.

მთავრობის მიერ განხორციელებული აგრარული დარგის განვითარების მხარდამჭერი პროგრამები, რომლის ფარგლებშიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 190-ზე მეტი საწარმო შეიქმნა, არის წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული.

„ჯორჯიაზ ნეიჩრლის“ ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელ მეურნეობაში წლიურად 4,000 ტონა ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებაა შესაძლებელი, ამჟამად წარმოებული პროდუქცია საექსპორტო ბაზრებისთვის არის განკუთვნილი. საწარმოში დასაქმებულია 25 ადამიანი. კომპანია „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ბენეფიციარია. საწარმოში ჯამურად 2,808,920 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 630,200 ლარი გრანტია, ხოლო 1,252,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით 200 ახალი საწარმოს შექმნა დაფინანსდა. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა, წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის.

კურორტ „გოდერძიზე“ კიდევ ერთი სასტუმროს მშენებლობა იგეგმება

კურორტ „გოდერძიზე“ სასტუმროს მშენებლობის მიზნით აჭარის მთავრობა ინვესტორს ეძებს. ამ მიზნით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ გასაყიდად გამოიტანა ხულოს მუნიციპალიტეტში, გოდერძის უღელტეხილზე მდებარე 4136 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 86,37 კვმ შენობა ნაგებობა.

ობიექტის საწყისი ღირებულება 135 ათასი ლარია, ხოლო მისი გასხვისება 18 ივლისისთვის ჩანიშნულ აუქციონზე იგეგმება. აუქციონის პირობების მიხედვით, ინვესტორი ვალდებულია, 2020 წლის 31 მარტამდე მინიმუმ 50 ნომერზე გათვლილი სასტუმროს მშენებლობა დაიწყოს, ხოლო 2022 წლის 1 ნოემბრამდე სასტუმრო ექსპლუატაციაში შეიყვანოს. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ასევე, რომ სასტუმროს ამოქმედებიდან მინიმუმ 20 წლის განმავლობაში სასტუმროს პროფილი შეინარჩუნოს და ასევე დასაქმებულთა 90% საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. ინვესტორმა სასტუმროს მშენებლობაში მინიმუმ 1 500 000 ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

მგზავრთა ნაკადი 4-ჯერ გაიზარდა და... ფასები შემცირდება

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობით გათვალისწინებული მეორე ფაზის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. მთავრდება ფასადისა და სახურავის მოწყობა. პარალელურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების მესამე ეტაპი, რაც საინჟინრო-კომუნიკაციების მოწყობას გულისხმობს. სამშენებლო სამუშოები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე აკაკი საღირაშვილმა და „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორმა გიორგი ჩოგოვაძემ დაათვალიერეს.

ახალი სამგზავრო ტერმინალის მშენებლობის დასრულების შემდეგ აეროპორტს 7 გასასვლელი (ე.წ. Gate)ექნება და საათში 1200 მგზავრის შეუფერხებლად გატარებას შეძლებს, რაც აეროპორტის გამტარუნარიანობას ოთხჯერ გაზრდის.

„ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოება აქტიურ ფაზაშია. ოთხმაგდება აეროპორტის გამტარუნარიანობა. ახალი ტერმინალის მშენებლობის დასრულების შემდეგ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი დაახლოებით ორ მილიონ მგზავრზე იქნება გათვლილი“, — განაცხადა აკაკი საღირაშვილმა. მშენებლობის დასრულების შემდეგ ქუთაისს ექნება თანამედროვე ტიპის ოთხსართულიანი აეროპორტი სრულიად უნიკალური ე.წ. მწვანე გადახურვით, სადაც გათვალისწინებული იქნება ღია ვერანდა გამწვანებით.

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲚᲘᲡ!

ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ, ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲨᲘ...

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲙᲘ, ᲡᲣᲚᲐᲪ, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲝᲒᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ. ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲧᲝᲤᲜᲐᲡ, ᲡᲣᲚᲐᲪ ᲝᲜᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ. ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲝᲛᲗ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲔ:

ᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲥᲘᲛᲘᲐ – ᲐᲒᲐᲖᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲡ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡᲐᲡ, ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲕᲣᲠᲩᲔᲕᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲪᲮᲘᲛᲘ ᲨᲚᲘᲐᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲕᲜᲔᲑᲔᲑ. ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲓᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ კი ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲫᲛᲐᲠᲘᲐ.

ᲜᲐᲤᲢᲐᲚᲘᲜᲘ – ᲐᲛ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲣᲚᲐᲙᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲑᲘᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲣᲯᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲔᲒᲓᲜᲔᲚᲔᲑ, ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲢᲝ ᲩᲠᲩᲘᲚᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ „ᲐᲤᲠᲗᲮᲝᲛᲓᲜᲔᲗ“. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲜᲐᲤᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲘᲛ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗᲐᲗᲐ ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲙᲘᲑᲝᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ. ᲩᲠᲩᲘᲚᲡ ᲙᲘ ᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ ᲢᲝᲛᲡᲘᲙᲔᲑᲘᲪ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲐᲮᲠᲗᲮᲝᲛᲡ.

ᲙᲒᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲢᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ – ეს განსაკუთრებით ახალი თაობის პასტებს ეხება, რომლებშიც **ტრიკლოზანი** და **ფტორიდი** გამოიყენება. ისინი სახიფათო შენაერთებია, რომლებიც შესაძლოა, ორგანიზმში დაგროვდეს და სავალალო შედეგი გამოიწვიოს. ასეთივე საფრთხეს წარმოადგენს კბილის მღებავიც, რომელსაც მათ გასახეხ საშუალებებს უმატებენ. რაც შეეხება გამოსავლებებს, უმჯობესია მათზე სულაც უარის თქმა, ვინაიდან აშკარად ზედმეტობაა. პასტა კი უმჯობესია თეთრი და ნატურალური შეარჩიოთ.

ᲝᲜᲙᲐᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ – გაუფილტრავი წყალი შესაძლოა, ქლორსა და მძიმე ლითონებს შეიცავდეს, რომლებსაც გასაწმენდად იყენებენ. ამდენად, კარგი იქნება, თუკი სასმელი წყლის ონკანს ფილტრს დაუყენებთ. ასევე უმჯობესი იქნება თუკი მას არა მარტო სამზარეულოში, არამედ საშხაპეშიც და საბაზანოშიც დაამონტაჟებთ.

ᲪᲐᲚᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ – გარედან შემოსულებს ფეხსაცმლის ძირებით სახლში მავნე ქიმიური ნაწილაკები შეგვაქვს – დაწყებული ტყვიიდან, დამთავრებული პესტიციდებით. ამიტომ საჭიროა ფეხსაცმლის საგულდაგულოდ გარეცხვა, ჰაერზე გაშრობა და შემდეგ ფეხსაცმელებისთვის განკუთვნილ კარადაში შენახვა, რომელსაც კარი მუდამ მჭიდროდ დაეხურება. ძველი ფეხსაცმელი კი უმჯობესია, ყოველგვარი დანანების გარეშე მოიშოროთ, თუკი მისი ხარისხიანად გარეცხვა ვეღარ ხერხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახში მავნე ქიმიურ ნივთიერებათა მუდმივ წყაროს ინახავთ.

ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘ – ისინი რომანტიკული განწყობის შექმნის ყველაზე უხეირო საშუალებას წარმოადგენენ, ასეთი ლამაზი ძვირიანი სანთლის ფთილი, სიმაგრისა და უფრო თანაბარი წვის უზრუნველსაყოფად, ხშირად ტყვიას შეიცავს, რომელიც ჰორმონალურ დისბალანსს იწვევს. ბინაში მისი დაგროვება კი ხელს უწყობს კიბოს უჯრედების წარმოშობას.

ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲛᲔᲜᲓᲔᲑᲘ – ამ სპრეების ღრმად ჩასუნთქვის შედეგად შესაძლოა, ზედა სასუნთქი გზების ანთების შეყრა. ჰაერის გამწმენდები ხშირად შეიცავენ მძრომლავ ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმში ავთვისებიანი უჯრედების ზრდას პროვოცირებენ. ტუალეტში ჰაერის გაწმენდის მარტივი ხერხია ტუალეტის ქაღალდის რულონში რამდენიმე წვეთი ეთეროვანი ზეთის ჩაწვეთება.

ᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲒᲝᲗᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲔᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ – **ფტალატები** და **ბისფენოლი** A. ეს ის ნივთიერებებია, რომლებსაც შესაძლოა, ნებისმიერი პლასტიკატი შეიცავდეს. ამიტომ უნდა ეცადოთ, რომ პლასტმასის ჭურჭელში დიდი ხნის ჩასხმული წყალი და ჩადებული საკვები არ იყიდოთ. არ შეიძლება პლასტიკატის კონტეინერებში საჭმლის გაცხელება და უმჯობესია, ასეთი ჭურჭლით სადილები არ ატაროთ. უპირატესობა ლითონების თერმოსებს მიანიჭეთ, სასმელი წყალი კი მინის ბოთლში ჩაასხით.

ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲥᲔᲑᲘ – ესენი საკმაოდ საშიში ქიმიური ნაერთებია, მათ შორის ისეთი ჩვეულებრივიც კი, როგორებიცაა ვთქვათ, ფრჩხილის ლაქი. მათი ორთქლის სუნთქვა არაფრის დიდებით არ შეიძლება, ამდენად გამოყენების შემდეგ აუცილებელია ოთახის განიავება. განსაკუთრებით საფრთხილოა სამშენებლო საღებავებისა და ლაქების გამოყენება, ამიტომ ამ დროს განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რადგან კანცეროგენების გამოყოფას ისინი გაშრობის შემდეგაც განაგრძობენ. არადა, მათ ჩვენი უჯრედების დნკ-ზე ზემოქმედება შეუძლიათ, რითაც გენურ მასალას აზიანებენ და შეუქცევადი ცვლილებების მიზეზად იქცევიან.

ᲓᲔᲖᲝᲓᲝᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲞᲔᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ – ისინი ხშირად ალუმინის, ფტალატებსა და ტრიკლოზანს შეიცავენ. განსაკუთრებით საშიშნი არიან ქალბატონებისთვის, ვინაიდან მკერდის კიბოს პროვოცირება შეუძლიათ. ამიტომ მიზანშეწონილია დეზოდორანტების ორგანული ნედლეულით შეცვლა, ანდა, სულაც, შხაპის უფრო ხშირად მიღება.

ᲡᲐᲨᲮᲐᲠᲘᲡ ᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲐᲠᲓᲐ – როცა აბაზანაში ცხელა და სინესტეა, რაც ხშირად ხდება, პლასტიკატის ფარდა ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთიერებების გამოყოფას იწყებს. ამდენად, გამოსავალი ისაა, რომ პლასტიკატის ფარდა საშხაპეს დამცველი მინის პანელით შეცვალოთ.

ᲢᲔᲤᲚᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲯᲣᲠᲯᲔᲚᲘ – ეს ახალმოდური მიწვის საწინააღმდეგო მასალა, თუკი მას სწორად გამოვიყენებთ, სულაც არ არის ცუდი, რადგან ცხიმს არ იწოვს, მაგრამ, როგორც კი ასეთ ტაფაზე თუნდაც ციცქნა ნაკაწრი გაჩნდება, მორჩა, მისი ვარგისიანობა აქ მთავრდება. დაზიანებული ტეფლონის გახურებისას სახიფათო ქიმიური შენაერთები, მაგალითად, **პერფოტოროქტანური კარბონის მჟავა** გამოიყოფა. ამდენად, ასეთი ტაფები დიდი სიფრთხილით უნდა გამოიყენოთ, მხოლოდ ხის კოვზები, სილიკონის ნიჩბები იხმარეთ და ყურადღებით გარეცხეთ.

ᲯᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲠᲐ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ...

სახლის დალაგების იაპონურ ხელოვნებაზე **მარი კონდოს** წიგნი **„ჯადოსნური მოწესრიგება“** უმალ მსოფლიო ბესტსელერად იქცა. გთავაზობთ ამ უაღრესად საგულისხმო ნაშრომიდან რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას:

– **ვიზუალურად წარმოისახეთ მიზანი.** წარმოიდგინეთ, თუ რა შედეგის მიღება გსურთ სახლის დალაგების შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ წარმოიდგინოთ არა დალაგების პროცესი, არამედ მისი შედეგი.

– **თავიდან მოიშორეთ ქაღალდები.** ძველი ჟურნალები, ბლოკნოტები, გაზეთის ამონაჭრები ბინას ანაგვიანებენ. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მათი ელექტრონულად შენახვა შეიძლება.

– **საუკეთესო ხერხი.** საიმისოდ, თუ რომელი ნივთი შეინახოთ და რომელი გადააგდოთ, აიღეთ ის ხელში და საკუთარ თავს შეეკითხეთ: განიჭებთ თუ არა ის სიხარულს? თუკი ეს გრძნობა არ გაგიჩნდათ, მაშინ აუცილებლად მოიშორეთ – აბა, განა რის მაქნისია ნივთი, რომელიც სიხარულს არ განიჭებთ?

– **ერთი ტიპის და ერთი ფერის სამოსი უმჯობესია ერთად შეინახოთ.** ტანსაცმლის საკიდებზე ჩამოკიდება რეკომენდებულია მარცხნიდან მარჯვნივ – ჯერ მუქი და თბილი ჩასაცმელი, შემდეგ ღია და საზაფხულო სამოსელი.

– **დაივიწყეთ უაზრო რჩევები.** მაგალითად, სახლი ყოველდღე უნდა ლაგდებოდეს. საჭიროა ყოველდღე რაღაცების მილაგება და თითო არასაჭირო ნივთის მოცილება. წარმატების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ჯერზე გასაკეთებლის მაქსიმუმი გააკეთოთ.

– **სახლი უნდა დაალაგოთ კატეგორიებით და არა ოთახების მიხედვით.** მთელ ბინაში ერთი კატეგორიის ნივთები შეაგროვეთ და დაახარისხეთ. თავიდან შეიძლება დაიწყოთ ტანსაცმლით, მერე მიჰყევით წიგნებს, საბუთებს და ა.შ.

– **ზოგიერთი ნივთის შენახვა ვერტიკალურად სჯობს.** ისინი მილებად დაახვიეთ და უჯრებში ვერტიკალურად ჩადეთ. მაგალითად, ასე შეგიძლიათ შეინახოთ პირსახოცები.

– **უჯრებს და თაროებს ბოლომდე ნუ გაჭედავთ.** თქვენი მიზანია ბინაში წესრიგის დამყარება, მაშასადამე, ყველაფერი თვალთახედვის არეში უნდა იყოს.

ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

ᲒᲘᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲔᲠᲗᲝᲛ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ: ᲡᲐᲨᲮᲐᲞᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲣᲠᲬᲣᲠᲔᲑᲖᲔ ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲝᲖᲣᲠᲘ ᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲐ ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲡ.

ᲘᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲐᲠ წარმოადგენენ, თუმცა კი საკუთარ, განსაკუთრებულ ბიოსფეროს წარმოქმნიან, რომლის დანახვა ადვილად შეიძლება შხაპის წურწურას მოხსნისას – წყლის მილაკზე ჟღალი ფერის ლორწო სწორედ ამ ბაქტერიების კოლონიას წარმოადგენს. იმიტომაც, რომ ბაქტერიები ბევრია, წყლის მილში კი ჭავლი მაღალი წნევით მოედინება, ისინი წყალთან ერთად გადმოედინებიან და შეიძლება იმუნიტეტშესუსტებულ ადამიანთა ჯანმრთელობას ავნონ. მათ შორის რისკის ჯგუფში ხანდაზმულები და ბავშვები არიან. ამის სიმპტომებია არაინფექციური ხველება, სისუსტე, ჭარბი ოფლიანობა (განსაკუთრებით ღამე), ციება, უმადობა.

„ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ“ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ... ᲬᲕᲔᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲣᲠᲣᲚ ᲬᲕᲔᲜᲡ, ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲡ, ᲘᲡ ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲡ; ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲰᲧᲐᲕᲡ ᲢᲝᲥᲡᲘᲜᲔᲑᲘ; ᲙᲐᲜᲡ ᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲡ; ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲡ ᲝᲜᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲛᲑᲐᲡ; ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ ᲒᲐᲡᲢᲠᲘᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ; ᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ; ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲦᲕᲘᲫᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲠᲙᲛᲚᲔᲑᲖᲔ; ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ ᲒᲣᲚ-ᲡᲘᲡᲮᲚᲫᲐᲠᲦᲕᲗᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲐᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲬᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲓᲔᲡ: ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲪᲮᲔᲗ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲐᲜᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲣᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲐᲪᲘᲚᲔᲗ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲮᲔᲮᲔᲗ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲓᲝᲚᲑᲐᲜᲓᲨᲘ ᲩᲐᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲣᲠᲔᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲬᲕᲔᲜᲡᲐᲬᲣᲠᲘᲗᲐᲪ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ. ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲚᲘᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲛᲝᲬᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲝᲗ ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜᲘ ᲕᲐᲨᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲘ, ᲐᲜ ᲗᲐᲤᲚᲘ.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲗᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔᲛ

◎ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲒᲔᲢᲔᲑᲝᲠᲒᲨᲘ ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის გარდა, მიმდინარეობს ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, სადაც საქართველოს ხელბურთის ფედერაცია კიდევ ერთხელ დაასახელეს ტოპ-ორგანიზატორად.

ამჯერად სპეციალური დიპლომი გადმოგვეცა ივნისში დასრულებული IHF ერთა ჩემპიონატის საუკეთესო ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისთვის. 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ფედერაციამ მსოფლიოსა და ევროპული ფედერაციების ეგიდით ჩატარებულ ათზე მეტ საერთაშორისო შეჯიბრებას უმასპინძლა: ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატს (2017), ევროპის ჩემპიონატებს (2016, 2018, მესამე ანალოგიური შეჯიბრება აგვისტოში გაიმართება), IHF ერთა ჩემპიონატსა და 2 ტროფის (2019; 2016 ქალები; 2016 კაცები, ქუთაისი), ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს (2015, ჭაბუკები, გოგონები), ევროპის ჩემპიონატის ორ შესარჩევ ტურნირს (2015 გოგონები, ქუთაისი; 2016) და ყველა მათგანი უმაღლეს საორგანიზაციო დონეზე ჩატარდა.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციას გეტებორგის კონგრესზე წარმოადგენენ პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ მეიფარიანი და გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე. მათ სამუშაო შეხვედრები გამართეს IHF პრეზიდენტ ჰასან მუსტაფასა და IHF პრეზიდენტ მიხაელ ვიდერერთან.

კონგრესზე მთავარი განსახილველი საკითხი იყო პანამერიკული კონფედერაციის ორ ნაწილად დაყოფა — ჩრდილოეთში მოხვდნენ ჩრდილოეთი ამერიკა და კარიბის ზღვის კუნძულები, ხოლო სამხრეთში — სამხრეთი და ცენტრალური ამერიკა. ასევე იმსჯელეს 2021 წლის მსოფლიოს კაცთა ჩემპიონატზე ეგვიპტეში, რომელშიც პირველად ითამაშებს 32 გუნდი. ჯერჯერობით განხილვაშია ტურნირის საბოლოო ფორმატის საკითხი და რომელი კონფედერაცია რამდენ დამატებით ადგილს მიიღებს 32-გუნდიან ფორმატში. ამ ტურნირის შესარჩევ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები 2019 წლის შემოდგომიდან ჩაებმება.

◎ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ

ᲔᲠᲗᲗᲘᲗᲕᲘᲐᲜᲘ საზაფხულო არდადეგების წინ საქართველოს XXXI საფეხბურთო ჩემპიონატში მნიშვნელოვანი სიახლეა: თბილისის „დინამომ“ „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგის ლიდერობა დაიბრუნა.

საამისოდ ესპანელების — ვისენტესა და ჩისკოს გაწვრთნილმა გუნდმა ზედიზედ შვიდი შეხვედრა მოიგო, მათ შორის 21-ე ტურში შინ ბათუმელ თანაკლუბელებთან 2:1 (**გოლები:** პაპავა, კუტალია; ფრამარიონი).

მოქმედმა ჩემპიონმა და ყოფილმა ლიდერმა „საბურთალომ“ შინ ძვირფასი ქულები დაკარგა ერთ-ერთ აუტსაიდერ „რუსთავთან“ — 2:2 (დიასამიძე — 2; ქოჩლაძე — 2), ხოლო სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

„დინამო“ — 41, „საბურთალო“ — 40, „ბათუმი“ — 39, „ტორპედო“ — 34, „ლოკომოტივი“ — 32, „ჩიხურა“ — 27, „დილა“ — 25, „სიონი“ — 22, „რუსთავი“ — 19, „ვიტ ჯორჯია“ — 15 ქულა.

ბომბარდირი: ზივზივაძე („ტორპედო“) — 13 გოლი.

შემდეგი ტური: „სიონი“ — „ვიტ ჯორჯია“ (2 აგვისტო), „რუსთავი“ — „ჩიხურა“, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ (3 აგვისტო), „ბათუმი“ — „დილა“, „საბურთალო“ — „ტორპედო“ (4 აგვისტო).

* * *

44 ᲬᲚᲘᲗ გავიდა მას შემდეგ, რაც პერუს ნაკრებმა უკანასკნელად ითამაშა კოპა ამერიკის ფინალში.

და აი, კუბისალისისა და ჩუმპიტასის შთამომავლებმა გაიმეორეს ძველი გვარდიის მიღწევა მას შემდეგ, რაც ბოლო ორი ტურნირის ტრიუმფატორი ჩილე დასცეს — 3:0.

სატიტულო ბრძოლაში გარეკას გაწვრთნილ ბიჭებს მასპინძელ ბრაზილიასთან მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, ვისთანაც ჯგუფურ რაუნდში 0:5 შერცხვნენ.

აღსანიშნავია, რომ აცტეკების შთამომავალთა სნაიპერმა გერერომ კოპა ამერიკის ისტორიაში სარეკორდო — მე-13 გოლი გაიტანა.

ფინალი 7 ივლისს „მარაკანაზე“ გაიმართება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

◎ ᲠᲐᲒᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲩᲐᲨᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡᲐᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ და რუსეთის სარაგბო ნაკრებთა მატჩი, რომელიც მსოფლიო თასისთვის მზადების ციკლში 27 აგვისტოს თბილისში გახლავთ დაგეგმილი, ჩაშლის პირასაა.

აღნიშნულის მიზეზი საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული რთული პოლიტიკური ვითარებაა, რასაც ოკუპანტი ქვეყანა კვლავაც თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს.

შეგახსენებთ, რომ თბილისში მიმდინარე ანტიოკუპაციო აქციების დაწყებისთანავე, რუსეთის ავადსახსენებელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დადგენილება გამოიტანა, რომელიც 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოში ავიამიმოსვლის აკრძალვას ითვალისწინებს.

უშუალოდ სარაგბო სამყაროში სიტუაცია კიდევ ერთმა ფაქტმა გაამწვავა: მოსკოვის კლუბმა „სლავამ“ ქართველ ლეგიონერებს რევაზ ბროძელსა და საბა ილურიძეს ანტირუსული ჟესტის გამოყენება დაუბრალა და მათთან კონტრაქტები გაწყვიტა.

ამ ჟესტმა ქართველ ქომაგებში ერთსულოვანი უკმაყოფილება გამოიწვია და რუსული მხარისთვის პროტესტის გამოცხადების სურვილიც გაუღერდა, რისი შემადგენელი ნაწილიც სწორედ მომავალი შეხვედრის გაუქმება იქნებოდა.

თავად რუსები გადაწყვეტილების მიღებას ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციების შემდეგ აპირებენ, ეს კი რისი წინაპირობა უნდა იყოს, იოლი მისახვედრია. აი, რა განაცხადა რუსეთის რაგბის კავშირის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელმა იგორ არტემიევმა: „სამინისტროსთან კონსულტაციები უახლოეს დღეებში გვექნება, რადგანაც აღნიშნულ თემაზე ყველაზე კომპეტენტური სწორედ ეს ორგანოა და გვეტყვიან, რა უნდა ვქნათ. რეკომენდაციებს მოგვცემენ და ჩვენც ისე ვიმოქმედებთ“.

შეგახსენებთ, რომ ამჟამინდელი ინფორმაციით „ბორჯღალოსნებს“ მსოფლიო თასამდე 3 ტესტი აქვთ გაწერილი: რუსებთან მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 19:15 საათზე გახლავთ დაგეგმილი, რასაც შოტლანდიასთან 2 შეხვედრა მოჰყვება — 31 აგვისტოს (20:00) „დინამო არენაზე“ და 6 სექტემბერს (22:30) გლაზგოურ „არიფილდზე“

ცნობისთვის: მოსკოვის „სლავას“ ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო ქართველ ლეგიონერებთან — ბროძელთან და ილურიძესთან კონტრაქტის გაწყვეტა და განაცხადა — ისინი ისევ ჩვენთან ვარჯიშობენო.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

◎ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ „ᲥᲝᲩᲝᲠᲖᲔ ᲢᲠᲘᲐᲚᲨᲘ“

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიადის პროგრამაში წინასწარ შეიტანა სქეიტბორდინგი, სერფინგი და — ყურადღება! — ბრეიქდანსი, რამაც სპორტულ სამყაროში დიდი ვნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

სპორტის არაერთი ავტორიტეტული სპეციალისტის აზრით, კერძოდ, ბრეიქდანსში, ფიზიკური დატვირთვის თვალსაზრისით, თავის თხემზე ტრიალი სხვა არაფერია, თუ არა ინვალიდობის გზა, რადგან თავზე „ჩიკორივით ბზრიალი“ დიდი ვერაფერი ვარჯიშია კისრის კუნთებისთვის. ამასთან, სპორტის ეს „სახეობა“ მაინცდამაინც ვერც დიდი ესთეტიკურობით გამოირჩევა, თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ეფექტური ელემენტები მასში უდავოდ არის.

რაც შეეხება მის ოლიმპიადის პროგრამაში შეტანის საკითხს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებებზე დიდი ხანია, გავლენას ახდენს ბიზნესი. ყველაფერი კი ჯერ კიდევ ამ უდიდესი და უმძლავრესი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის პრეზიდენტად ხუან ანტონიო სამარანჩის ყოფნის დროს დაიწყო, როცა სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის საქვეყნოდ ცნობილი გერმანული ფირმის „ადიდასის“ დამაარსებლის **ადი დასლერის** ზეწოლით, შეიქმნა სპონსორების გაერთიანება — პული.

ამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ბიზნესის ინტერესებში შედის სპორტის იმ სახეობების პოპულარიზაცია, რომელთათვის საჭირო ინვენტარის გაყიდვა მეტ შემოსავალს მოიტანს. კლდეზე ცოცვა, ბრეიქდანსი — ეს კი ის სახეობებია, რომელთა მიმდევარი მილიონობით მოზარდისთვის აუცილებელია ძვირადღირებული ეკიპირებისა და მოწყობილობის შეძენა. შედარებისთვის კი შეიძლება ითქვას, რომ, ვთქვათ, ჭიდაობაში, ცურვაში ან მხატვრულ ტანვარჯიშში ასეთი აქსესუარები ნაკლებადაა საჭირო.

ჰოდა, სწორედ ამიტომაა, რომ ახალგაზრდებში სპორტის ახალ-ახალი სახეობების პროპაგანდა, რის საუკეთესო შესაძლებლობას ოლიმპიური თამაშები იძლევა, ბიზნესისთვის ერთობ ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ამიტომაცაა, რომ სპორტის კლასიკური სახეობები კომერციულებისაგან გამუდმებულ ზეწოლას განიცდიან, რაც სოკ-ისგან ფრთხილი და აწონილი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს.

ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ

გიორგი გოგიჩაიშვილი (გოგიჩა) გარდაიცვალა

ბოლო პერიოდში ის მძიმე სენს ებრძოდა. გიორგი გუშინ დილით საავადმყოფოში გარდაიცვალა.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და ახალი ამბების სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი“ მწუხარებას გამოთქვამენ გიორგი გოგიჩაიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, კოლეგებსა და ახლობლებს.

დოლიძის ქუჩაზე მამაკაცი დაჭრეს

თბილისში, დოლიძის ქუჩაზე, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავეს.

როგორც საქართველოს პირველ არხს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დოლიძის ქუჩაზე მამაკაცი იარაღით დაჭრეს და ბრალდებულის სახით ერთი პირი სამართალდამცველებმა მალევე აიყვანეს.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ დოლიძის ქუჩაზე სროლა იყო, თუმცა როგორც მოგვიანებით შსს-ში განაცხადეს, დაჭრა ცივი იარაღით მოხდა.

თბილისში ავტობუსით უბილეთოდ მგზავრობაზე ჯარიმა ხუთიდან 20 ლარამდე გაიზარდა

დღეიდან თბილისში, მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ ავტობუსით უბილეთოდ მგზავრობაზე სანქციები გაიზარდა – ამ დარღვევისთვის მოქალაქე ხუთი ლარის ნაცვლად უკვე 20 ლარით დაჯარიმდება.

ცვლილებას „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ პარლამენტის მიერ დამტკიცებული ცვლილება ითვალისწინებს.

რაც შეეხება საურავს, რომელიც 30 დღის განმავლობაში ჯარიმის გადაუხდელობისთვის მოქმედებს, ის შემცირდა და 50 ლარის ნაცვლად 40 ლარი გახდა.

სიახლეა ბილეთის აღების წესშიც: მგზავრი ვალდებულია, ბილეთი მგზავრობის დაწყებისთანავე აიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტროლიორის მიერ მგზავრობის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება დაჯარიმდეს.

როგორც საქართველოს პირველ არხს თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან აცნობეს, აღნიშნული სიახლის შესახებ ავტობუსებში უკვე გაკრულია საინფორმაციო სტიკერები. გარდა ამისა, მათივე ცნობით, ცვლილების დეტალებს მგზავრებს კონდუქტორებიც უხსნიან.

საქართველოს პრეზიდენტი საზოგადოებას C ჰეპატიტის საბოლოო დამარცხებისაკენ მოუწოდებს

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს მოსახლეობას მიმართავს, დროულად გაიარონ ჰეპატიტთან დაკავშირებული შესაბამისი ტესტირება და ჩაიტარონ მკურნალობა, რომელიც საქართველოში უსასყიდლოდაა შესაძლებელი. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„ნუ გავუშვებთ ამ არაჩვეულებრივ შანსს ხელიდან და ნუ ვიტყვით მასზე უარს!“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, რომ C ჰეპატიტით დაავადებულ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, დამატებითი კრიტერიუმის გარეშე შეუძლია, ისარგებლოს C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამით და ღვიძლის დაზიანების ხარისხის სიმძიმის მიუხედავად, მიიღოს C ჰეპატიტის სამკურნალო უახლესი თაობის მედიკამენტები უსასყიდლოდ.

20 ივნისს დაშავებული სამი მოქალაქე თურქეთსა და ისრაელში გაამგზავრეს

20 ივნისს პარლამენტის შენობის წინ განვითარებული მოვლენების შედეგად დაშავებული ორი მოქალაქე გუშინ დილით ისრაელში, ერთი კი თურქეთში გაემგზავრა. ამის შესახებ საქართველოს პირველ არხს ჯანდაცვის სამინისტროდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, ესენი ის პაციენტები არიან, რომლებიც ბოლო დღეებში რეგიონული ჰოსპიტლიდან და „ნიუ ჰოსპიტლიდან“ გაეწერენ.

მათივე ინფორმაციით, თურქეთში მკურნალობის მიზნით უკვე იმყოფება ორი სამართალდამცველი. ორი მოქალაქე განაგრძობს მკურნალობას გერმანიაში, ხოლო კიდევ ორი დაშავებული რჩება ისრაელში. ყოველი მათგანის სამედიცინო მომსახურების ფინანსებს ფონდი „ქართუ“ ფარავს.

კახა კალაძე: „ქართუ ფონდს“ 20 ივნისს დაზარალებულთა მკურნალობის დაფინანსებისთვის მადლობას ვუხდი



თბილისის მერი კახა კალაძე 20 ივნისს დაზარალებული მაკო გომურის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებაზე გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

დედაქალაქის მერმა სიცრუე უწოდა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვით 18 წლის მაკო გომურის საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯებს, თითქოს, კახა კალაძე აფინანსებს. მისი განმარტებით, ყველა დაზარალებულის საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯები საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა.

„რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მე დავაფინანსე მაკო გომურის უცხოეთში გამგზავრება და მკურნალობა. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ბევრს ვეხმარებით, სიკეთეს ვაკეთებთ, მაგრამ ამაზე არც მისაუბრია და არც ახლა ვაპირებ. მით უფრო, სრულიად მიუღებელია, მითვისო ის საქმე, რაც არ გამიკეთებია. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს არ არის სწორი ინფორმაცია. მე მოვისმინე „ქართუ ფონდის“ განცხადება. თავის თავზე იღებს დაზარალებულთა მკურნალობის სრულ ხარჯებს, რაზეც მინდა, მადლობა გადავუხადო“, – განაცხადა კახა კალაძემ.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია ტატუნაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაია ტატუნაშვილი (პ/ნ 50001000512), თბილისი, თემქის 3 მ/რ, 4 კვ., №53/47.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, წმინდა ნინოს ქ. №17, სართული 6, ბინა №64 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.003.016.01.03.064 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 71429.52 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 5 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 19 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP61122819;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 611228

6. **მოვალე:** მაია ტატუნაშვილი (პ/ნ 50001000512), თბილისი, თემქის 3 მ/რ, 4 კვ., №53/47.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“,ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP61122819; ლოტის ნომერი: 611228).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 19 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◎ საქართველოს რკინიგზა

არავითარი პოლიტიკა!!!

შტადლერის ტიპის მატარებლებში სადგურების შესახებ ინფორმაცია რუსულ ენაზე 4 თვეა, არ ცხადდება. მატარებლებში სადგურების შესახებ ინფორმაცია საინფორმაციო საშუალებებით ცხადდებოდა სამ ენაზე, აღნიშნულია „საქართველოს რკინიგზის“ განცხადებაში.

კომპანიის ინფორმაციით, „საქართველოს რკინიგზა“ მუდმივად ზრუნავს მგზავრთა მაქსიმალურ კომფორტზე და ცდილობს, დახვეწოს და განავითაროს სერვისები.

„შტადლერის ტიპის მატარებლებში მოახლოებული სადგურების შესახებ ინფორმაცია საინფორმაციო საშუალებებით ცხადდებოდა სამ ენაზე, რაც განცხადებების ხანგრძლივობის გამო მგზავრებში იწვევდა უკმაყოფილებას და დისკომფორტს. შესაბამისად, თითქმის 4 თვეა, სს „საქართველოს რკინიგზამ“ მიიღო ტექსტის შემოკლებისა და გამოცხადების ინტენსივობის შემცირების გადაწყვეტილება.

ვაცხადებთ, რომ ვინაიდან ოთხი თვეა, შტადლერის სამგზავრო მატარებლებში შემცირებული ტექსტი ნაკლები ინტენსივობით ცხადდება მხოლოდ ქართულ და საერთაშორისოდ აღიარებულ ინგლისურ ენებზე, მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად.

სს „საქართველოს რკინიგზის“ აღნიშნული გადაწყვეტილება გამოწვეულია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით და არ უკავშირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს“, აღნიშნულია „საქართველოს რკინიგზის“ განცხადებაში.

ქართველებმა მწვერვალი ნანგა პარბატი დალაშქრეს

„სასიხარულო ამბავი ქართული ექსპედიციიდან, რომელიც თვეზე მეტია, მიმდინარეობს, პაკისტანში, ყარაყორუმის მთათა სისტემის მწვერვალ ნანგა პარბატზე, რომლის სიმაღლეც 8,126 მეტრია და გამოირჩევა თავისი ტექნიკურად რთული და თოვლიანი ფერდებით.

ექსპედიციის მონაწილეები, საქართველოს ნაკრების წევრები არჩილ ბადრიაშვილი და გიორგი ტეფნაძე პირველი ქართველები არიან, ვინც ფეხი დადგეს ამ უდიდეს მთაზე!

ექსპედიცია არც ისე მარტივი აღმოჩნდა, კლიმატური პირობების გამო. წელს დიდი ოდენობით თოვლი მოვიდა, რამაც საგრძნობლად გაართულა და ხიფათი შესძინა მთაზე გადაადგილებას. ბიჭებს მოუწიათ დიდი და მძიმე დღეები, თოკების დაკიდება, ბილიკების თავიდან გაკვალვა და რაც ყველაზე დამღლელია, ლოდინი მანამ, სანამ ამინდი შესაძლებლობას მისცემდათ, გზა გაერძელებინათ!

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, მათ მოახერხეს მთაზე ასვლა! ვულოცავთ მათ ამ წარმატებას და მშვიდობიან დაშვებას ვუსურვებთ!“, — აღნიშნულია ფედერაციის განცხადებაში.

ორასდოლარიანი ვიდეოფირი 2 მილიონ დოლარამდე გაიყიდება

SOTHEBY'S-ის აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს 1969 წელს ამერიკელი ასტრონავტების მიერ მთვარეზე ფეხის დადგმის ამსახველი ვიდეო, რომელიც ჩვენ დროში ერთადერთ შემონახულ ჩანაწერად ითვლება. ამის შესახებ ინფორმაციას CNN-ი ავრცელებს.

დღეს უკვე ამერიკელი პენსიონერი გერი ჯორჯი სტუდენტობის დროს NASA-ში სტაჟირებას გადიოდა, სტაჟირების განმავლობაში მან NASA-სგან 218 დოლარად (რაც დღეს დაახლოებით 1000 დოლარამდეა) 1100-ზე მეტი ვიდეოფირი იყიდა. იმ პერიოდში NASA ძველი ვიდეოფირების გადაწერით ან გაყიდვით ხარჯების შემცირებას ცდილობდა.

სხვა უმნიშვნელოვანეს და უძვირფასეს მომენტებს შორის, გერი ჯორჯიმ ის ვიდეოფირიც იყიდა, სადაც ადამიანის მიერ მთვარეზე პირველად ფეხის დადგმაა გადაღებული.

Sotheby's-ის აუქციონზე ვიდეოს საწყისი ფასი 700 000 დოლარი იქნება, ვარაუდობენ, რომ ის დაახლოებით 2 მილიონ დოლარად გაიყიდება. აუქციონი ოფიციალურად 20 ივლისს გაიხსნება, მთვარეზე დაჯდომის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

აშშ მთვარეზე ასტრონავტების გაგზავნას ისევ აპირებს. NASA-ს გამოთვლებით, 2024 წლისთვის ასტრონავტების მთვარეზე გაგზავნა 420-430 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება.

ბელარუსის დამოუკიდებლობის დღე... ტრაგიკულად დასრულდა

მინსკში ბელარუსის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფოიერვერკის დროს აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა. გარდაცვლილია ერთი და დაშავებულია 10-მდე ადამიანი.

როგორც მოგვიანებით ბელარუსის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, ინციდენტის ერთ-ერთი მიზეზი უხარისხო პიროტექნიკა გახდა. ამასთან, უწყებაში აღნიშნეს, რომ ფოიერვერკის დანადგარები რუსული კომპანია „პირო-როსისგან“ შეიძინეს.

ბელარუსის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ფოიერვერკების გაშვება მინსკში რამდენიმე ადგილიდან განხორციელდა.

მალევე სოციალურ ქსელების მომხმარებლებმა დაწერეს, რომ პიროტექნიკა ძალიან დაბალ სიმაღლეზე ფეთქდებოდა. თვითმხილველების ინფორმაციით, აფეთქებების შედეგად რამდენიმე შენობაში მინები ჩაიმსხვრა.

სასიკვდილო სელფები

სტატისტიკამ აჩვენა, რომ სელფის გამო სიკვდილიანობა უფრო მაღალია, ვიდრე ზვიგენის თავდასხმის შედეგად გარდაცვლილ ადამიანთა რიცხოვნება.

შვებულების დროს სიფრთხილეა საჭირო, ეს განსაკუთრებით სელფის მოყვარულებს ეხებათ. ვარდნით და საავტომობილო ავარიით სიკვდილიანობა მას შემდეგ გაიზარდა, რაც „snappers“ უფრო და უფრო რისკავენ.

კერძოდ, ეს ეხება მათ, ვინც ფოტოს გადასაღებად იყენებენ სმარტფონებსა და სელფის ჯოხებს.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბოლო 6 წლის განმავლობაში სელფის გამო 259 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო ზვიგენის თავდასხმის შედეგად 50-მდე ადამიანი.

ირკვევა, რომ სელფის გამო გარდაცვლილთა ნახევარზე მეტი, ანუ 159 შემთხვევა ინდოეთზე მოდის.

ვულკანმა მთამსვლელი იმსხვერპლა

იტალიის კუნძულ სტრომბოლიზე ვულკანი ამოიფრქვა. შემთხვევის შედეგად დაიღუპა ერთი და დაშავდა რამდენიმე ადამიანი. ამის შესახებ ინფორმაციას BBC-ი ავრცელებს.

მსხვერპლი მთამსვლელი იყო, რომელსაც ვულკანის ამოფრქვევის შედეგად ქვა დაეცა.

იტალიაში, ვულკანის მოულოდნელი გააქტიურების გამო საზღვაო ძალებმა 70 ადამიანის ევაკუაცია მოახდინა, უმრავლესობა ტურისტია. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სტრომბოლი ხმელთაშუა ზღვის პატარა კუნძულია, რომელზეც ვულკანი მდებარეობს. ვულკანი ბოლოს 2002 წელს გააქტიურდა, რა დროსაც განადგურდა სახლები და დაიღუპა 6 ადამიანი. სტრომბოლიზე ამჟამად 500-მდე ადამიანი ცხოვრობს.

საშინელმა სიცხემ ადამიანები შეიწირა

ინდოეთში უკიდურესად მაღალ სიცხეს 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მომდევნო წლებში ტემპერატურა კიდევ აიწევს.

ინდოეთში ტემპერატურამ მაქსიმუმს 48 გრადუს ცელსიუსს ივლისში მიაღწია. ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ ჩურუში, ტემპერატურამ ქვეყნის რეკორდი მოხსნა და 50,6 გრადუს ცელსიუსს გადასცდა.

IPCC-ის ინფორმაციით, ინდოეთი იმ ქვეყანათა რიგებშია, რომლებზეც კლიმატის ცვლილება ყველაზე მეტად იმოქმედებს.

ინდოეთის ყველაზე ღარიბ შტატ ბიჰარში, მას შემდეგ რაც სიცხეს 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ყველა სკოლა, კოლეჯი და სასწავლო ცენტრი რამდენიმე დღით დახურეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მილიონობით ადამიანს სახლში დარჩენისკენ მოუწოდა, მაშინ, როდესაც მათი დღიური შემოსავლის წყაროს, მიწათმოქმედება ან შენობებს მიღმა მუშაობა წარმოადგენს.

2013 წელს, გუჯარათის რეგიონში „წინასწარი შეტყობინების“ სისტემის ნაწილობრივმა გამოყენებამ 2000 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნარენდრა მოდის განცხადებით, „სიცხის ტალღები“ ქვეყნის მთავარი გამოწვევაა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8155; ევრო - 3.1804;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5408;
100 რუბლი - 4.4339; თურქული ლირა - 0.4996;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6604;
1000 სომხური დრამი - 5.9087.

ამინდი 5 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+29
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge